აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№39 (24.919) სამშაბათი, 19 - 20 აპრილი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, შიდამთიან რაიონებში - 15-20, მაღალ მთაში - 10-15 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 766 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველო არ იქნება ქვეყანა, სადაც რუსეთს შესაძლებლობა ექნება, სანქციებს გვერდი აუაროს, - განაცხადა უკრაინაში ვიზიტიდან დაბრუნების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. „ეს იყო თბილი, მეგობრული ვიზიტი და მასპინძელი ცდილობდა, რომ განსაკუთრებული სითბო და ყურადღება ეჩვენებინა ქართული დელეგაციისთვის. ის, რომ შემადგენლობა იყო მრავალპარტიული, მისთვისაც იყო მნიშვნელოვანი იმ კუთხით, რომ ამით საპარლამენტო დელეგაციამ მთლიანად ქვეყნის სოლიდარობა ჩაიტანა უკრაინაში“, - აღნიშნა მან და დასძინა, რომ ის, რაც საპარლამენტო დელეგაციამ უკრაინაში ნახა, ომის დანაშაულების ნიშნებს შეიცავს.

* * *

უკრაინაში საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა სანქციები იყო, - განაცხადა „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე ხათუნა სამნიძემ მედიის წარმომადგენლებთან საუბრისას. „სანქციებთან დაკავშირებით შეხვედრის დროსაც იყო საუბარი. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. ამ მოწოდებისა და შეხვედრის შემდეგ, იმედს ვიტოვებ, დისკუსია მაინც გაიმართება, მათ შორის, ოპოზიციასთან, თუ რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ჩვენ კიდევ ერთი ნაბიჯით მხარი დავუჭიროთ ჩვენს პარტნიორ ქვეყანა უკრაინას, რომელიც ომშია,“ - განაცხადა ხათუნა სამნიძემ.

* * *

პრემიერ-მინისტრმა უპრეცედენტო ინიციატივები გააჟღერა, რაც იქნება დამატებითი მუხტი ისედაც მაღალი ტემპით წარმოებული სამუშაოებისთვის და პროექტებისთვის. განვადებით მშენებლობის პროგრამა არის ახალი შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს და მასშტაბურად გააუმჯობესებს მდგომარეობას, - განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ. განვადებით მშენებლობის პროგრამის შესახებ პრემიერმა გუშინ მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

* * *

საპარლამენტო ოპოზიცია მმართველ გუნდს ფაშიზმზე გამარჯვების დღის 9 მაისის ნაცვლად, 8 მაისს აღნიშვნას სთავაზობს. ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ამასთან დაკავშირებით „შრომის კოდექსში“ ცვლილებებიც მოამზადეს, „მნიშვნელოვანია, საქართველო ამ თარიღს ევროპასთან ერთად აღნიშნავდეს, განსაკუთრებით დღეს, უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის და მათ მიერ ჩადენილი ომის დანაშაულების ფონზე“, - აღნიშნა პარლამენტარმა თეონა აქუბარდიამ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ინიციატივაზე საუბრისას.

მოამზადა
ია შველიძემ

სოციალურად დაუცველ ბავშვებს დახმარება გაეზრდებათ, ფერმერები სუბსიდიას მიიღებენ

„განვადებით მშენებლობის მასშტაბურ პროგრამას ვიწყებთ. მის ფარგლებში, დამატებით, 20 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყების წინ განაცხადა

„დაახლოებით 3 წელში, გვინდა ყველა სამუშაო დასრულებული იყოს. დაფინანსების ჯამური მოცულობა დაახლოებით 2.5, შეიძლება 2.3 მილიარდი ლარიც იყოს. ჩვენ ამ ეტაპზე 2 მილიარდი ლარით დავიწყებთ. ეს თანხა იქნება ხელმისაწვდომი კომპანიებისთვის.

ჩვენ სამშენებლო სექტორს შევთავაზებთ, რომ ჩვენი გარანტირებული დაკვეთით დამატებითი ფინანსური რესურსი მოიზიდონ და ამ პროგრამაში ჩაერთონ. ვფიქრობ, ეს იქნება უნივერსალური გადაწყვეტილება. ერთი მხრივ, ჩვენ დაგეგმილ პროექტებს ვადაზე ადრე განვახორციელებთ, მეორე მხრივ, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ეკონომიკურ ზრდას დაეხმარება. ასევე, ბიზნესისთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება,“ - განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მომავალი 3 წლის განმავლობაში 80 სკოლა და 90 საბავშვო ბაღი აშენდება. გარდა ამისა, დაგეგმილია საალმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია. ბიუჯეტი დაახლოებით, მილიარდი ლარი იქნება.

პირველი ივნისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება 150 ლარი გახდება. ამ მიმართულებით, წელს ჯამური ბიუჯეტი 341 მილიონი ლარია და მთავრობის გადაწყვეტილებით, დახმარება ყოველ წელს გაგრძელდება.

„ერთი წლის წინ, სოციალურად დაუცველ ბავშვებს დახმარება გავუორმაგეთ, მანამდე 50 ლარი იყო და 100 ლარი გახდა. დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული დახმარება 150 ლარი გახდეს. ეს შეეხება 215 ათასზე მეტ ბავშვს“, - განაცხადა ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე.

პრემიერმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დაწყებაც დააანონსა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროული და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა.

„სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება ერთ ჰექტარზე 300 ლარით. სუბსიდიას მიიღებენ 0.25 ჰექტარიდან 1.25 ჰექტარამდე ჩათვლით მიწის მესაკუთრეები, თანამესაკუთრეები. ბენეფიციარს შეეძლება მიიღოს ეს სუბსიდია, მათ სპეციალურ აგრობარათზე დაერიცხებათ აღნიშნული დახმარება, სუბსიდია და შეუძლიათ გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო საქონლის შესასყიდად. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება იქნება და შეეხება 300 ათასამდე ფერმერს. პროექტის ბიუჯეტი 35 მლნ ლარს შეადგენს. ვფიქრობთ, ეს დადებით გავლენას მოახდენს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე.

ამას გარდა, ვეხმარებით მსხვილ ფერმერებს, მათ ვუფინანსებთ საბრუნავი სახსრებისთვის აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთს 9%-ის ოდენობით, ასევე ერთწლოვანი კულტურის მოყვანის ხელშეწყობისთვის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში 22 მარტიდან დღემდე 20 მლნ ლარის ღირებულების სესხებია გაცემული. ამ მიმართულებით ფერმერების მხარდაჭერას გავაგრძელებთ“, - აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა სხდომაზე კიდევ ერთი სიახლე გაახმოვანა - თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე, პოლიციის ათასბინიანი ქალაქი აშენდება.

პოლიციელები 1 კვადრატულ მეტრს 100 დოლარად მიიღებენ, დანარჩენს კი სახელმწიფო დაფარავს. გარდა ამისა, რეაბილიტაცია ჩაუტარდება პოლიციის ყველა არსებულ შენობას, აშენდება ახალიც.

„აღნიშნული სამუშაოების ღირებულება 300-350 მლნ ლარს შეადგენს. ჩვენი სურვილია, რომ ეს ყველაფერი სამ წელიწადში დასრულდეს. სამუშაოები წელსვე უნდა დაიწყოს“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერმა თავდაცვის მიმართულებით დაგეგმილ პროექტებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ წელს ე.წ. მუხროვანის ბაზის მშენებლობა დაიწყება, რომელიც თანამედროვე სპეციალური ოპერაციების ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშო ბაზა იქნება. გარდა ამისა, თბილისში კადეტთა ლიცეუმიც აშენდება.

იხ. მე-2 გვ.

რამაზ საყვარელიძე: არ არის გამორიცხული, რომ ოსებმა რუსებთან ეშმაკობა გადაწყვიტეს

3

რა სახის დარღვევები გამოვლინდა შუალედურ არჩევნებში?

4

«2022 წელი ქალთა შრომითი უფლებების დაცვის წლად გამოვაცხადეთ»

5

ის დღე ტკივილიან მოგონებად რჩება

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

როგორ მიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა ტბეთის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა

მისი თქმით, თამარის დასახლებაში ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქუჩა, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს უკავშირდება. ქუჩის რეაბილიტაციისას გაითვალისწინეს მოსახლეობის თხოვნა, რის საფუძველზეც ქუჩის გარკვეული მონაკვეთი გაფართოვდა.

ბათუმის მერმა ტბეთის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებზე დეტალურად ისაუბრა და აღნიშნა, რომ უმოკლეს ვადაში საკმაოდ მოცულობითი სამუშაოები შესრულდა.

ტბეთის ქუჩაზე უკვე მოეწყო ახალი სანიაღვრე სისტემა, ტროტუარები და ბორდიურები. დაიგო ასფალტის საფარის პირველი ფენა, ამ ეტაპზე კი მიმდინარეობს სანიაღვრე ჭების მონტაჟი და ასფალტის საფარის მეორე ფენის დაგება. გარდა ამისა, პროექტი, ასევე, ითვალისწინებს ტბეთის ქუჩის შესახვევის კეთილმოწყობასა და განახლებული განათების სისტემის მონტაჟს.

„ტბეთის ქუჩაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. ეს თამარის დასახლებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გზაა, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს უკავშირდება. ქუჩა წლების განმავლობაში იყო მოუწესრიგებელი, სადაც, როგორც ტრანსპორტით, ასევე ფეხით გადაადგილებისას მოსახლეობას დისკომფორტი ექმნებოდა. ტბეთის ქუჩაზე მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულდა. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ასფალტის საფარის დაგება. დაგეგმილია ტბეთის ქუჩის შესახვევის კეთილმოწყობაც. ქუჩის რეაბილიტაცია უახლოეს პერიოდში დასრულდება. პროექტის ღირებულება 1 მილიონ ლარს აღემატება“, - აღნიშნა ბათუმის მერმა.

გამოცდილება გაიზიარეს

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით, ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა III საერთაშორისო სემინარი თემაზე: „შავიზღვისპირეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეალური მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები“

სემინარში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები; სამეცნიერო ღონისძიების თემატიკა მოიცავდა არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ისტორიის სხვადასხვა დარგობრივ მიმართულებას.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო მსგავს სემინარს ყოველწლიურად ატარებს, რომლის მეშვეობითაც ხდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასთან დაკავშირებით შავი ზღვის აუზის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სპეციალისტთა შორის კომუნიკაციის გაზრდა და პერსპექტივაში ახალი სამეცნიერო-კვლ-ევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ურთიერთობების ორგანიზება.

წარმოდგენილი იყო ეთნოკუთხე - აჭარული ნაქარგობების შესახებ. ქარგვის ტრადიციულ კულტურას 2020 წელს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

გაიმართა წიგნის „ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლად აღმოჩენილი კულტურა“ პრეზენტაცია (ავტორი: არქეოლოგი ამირან კახიძე), რომელიც აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ფინანსური უზრუნველყოფით გამოიცა.

ამ დღესთან დაკავშირებით დღეიდან 26 აპრილის ჩათვლით მუზეუმები ვიზიტიორებისათვის უფასოა.

უკრაინიდან ჩამოსულ მოქალაქეებს მათზე მორგებულ სასწავლო პროგრამას სთავაზობენ

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უკრაინიდან ჩამოსულ ქართული ენის შესწავლის მსურველ მოქალაქეებს და მათ შვილებს უმასპინძლა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ზურაბ ყვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, უკრაინიდან ჩამოსულ მოქალაქეებს, რომელთაც ქართული ენის შესწავლის სურვილი გამოთქვეს, სპეციალურად მათზე მორგებულ სასწავლო პროგრამას სთავაზობს. პროგრამის პრეზენტაციასა და უკრაინის მოქალაქეებისთვის ჩატარებულ ქართული ენის პირველ გაკვეთილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი ბსუ-ს რექტორ მერაბ ხალვაშთან და ყვანიას სკოლის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

სოციალურად დაუცველ ბავშვებს დახმარება გაეზრდებათ, ფერმერები სუბსიდიას მიიღებენ

პირველი გვერდიდან

„ეს იქნება ახალგაზრდების სამხედრო, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისთვის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრი. ასევე გვინდა აქტიური მუშაობა დავიწყოთ სამხედრო მუზეუმის კონცეფციაზე“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, დევნილი მოსახლეობისთვის ახალი პროექტი იწყება, რომლის მიხედვითაც 13 ათასამდე დევნილ ოჯახს საცხოვრებელი სახლი მომდევნო 3-4 წელიწადში გადაეცემა, მათგან ნაწილს - „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, ნაწილი დევნილი მოსახლეობისთვის კი ახალი სტანდარტების კორპუსები აშენდება. ეს არის მასშტაბური პროექტი, რო-მელიც 3-4 წელიწადში დასრულდება.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, დაგეგმილია როგორც თეატრების რეაბილიტაცია, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. როგორც მან სხდომაზე აღნიშნა, მთავრობისთვის სპორტი და კულტურა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული სფეროა.

„მთელი ქვეყნის მასშტაბით დავიწყებთ ყველა თეატრის რეაბილიტაციას, მათ შორის მინდა გამოვყო მუზეუმი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, რომლის რეაბილიტაცია წელს დაიწყება. მინდა ვთქვა, რომ სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება. ასევე, უნდა დავიწყოთ ყველა მუნიციპალიტეტში სპორტული კომპლექსების მშენებლობა. 3-დან 5 წლამდე ყველა მუნიციპალიტეტში სპორტული კომპლექსი უნდა ავაშენოთ, რათა ჩვენი ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესს ხელი შევუწყოთ“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა რეგიონების წყალმომარაგებით უზრუნველყოფას გეგმავს.

პროექტი დაახლოებით 350 მილიონი ლარით დაფინანსდება და 2025 წელს ყველა ქალაქს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება, ასევე, გადაიჭრება მელიორაციის პრობლემაც.

ელენე საყვარელიძე

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

უკრაინაში ომი 53-ე დღეა მიმდინარეობს, მათი სოლიდარობისა და მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა სახის აქცია იმართება. ხელნაკეთი ნივთები, აქსესუარები, ნახატები და ნამუშევრები გამოიფინა ამჯერად ბათუმში ევროპის მოედანზე უკრაინელი ბავშვების დასახმარებლად. გამოიფინა ნანგრევებში დაღუპული დათა შომახიას წიგნებიც, სადაც შესულია დათას ნახატები, ფოტოები და მისდამი მიძღვნილი ჩანაწერები. გამოფენა-გაყიდვა მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა. უკრაინის მხარდასაჭერად საქველმოქმედო აქციაში ჩაერთნენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. ორგანიზატორები სოციალური საწარმო „ანდამატი“ და ქალთა კლუბის წარმომადგენლები იყვნენ.

* * *

ბათუმში გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საერთაშორისო კლასის არბიტრის და მეოცე საუკუნის აჭარის

საუკეთესო მწვრთნელის გურამ ჭანტურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. შეჯიბრებაში, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში გაიმართა, ექვსი ქვეყნის ასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

* * *

დასრულდა ფრენბურთში ბათუმის სპორტის სასახლის ღია პირველობა 2007-2008 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირში ოთხი გუნდი - თბილისის „ნიკე“, რუსთავი და ბათუმის ორი გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს ბათუმის სპორტის სასახლის გუნდი და თბილისის „ნიკე“ დაუპირისპირდნენ. ბათუმმა ხუთრაუნდიან დაპირისპირებაში ზედიზედ სამი პერიოდი მოიგო და ტურნირის გამარჯვებულიც გახდა.

* * *

საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის მორიგ ტურში თბილისის „ტიტებმა“ „ბათუმს“ უმასპინძლეს და ანგარიშით - 97:82 დაამარცხეს. ამ შეხვედრაში ბათუმელთა სამწვრთნელო შტაბმა გუნდის ორი ლიდერი - საბა ლობჟანიძე და ბექა ბექაური დაასვენა, გუნდის დანარჩენ წამყვან მოთამაშეებს კი სათამაშო დრო დაახლოებით თანაბრად გადაუნაწილდათ. ბათუმში 19 ქულა და 8 მოხსნა დე ანჯელო სტიუარტმა მოაგროვა, ხოლო ლევან ელიაძის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა. „ბათუმი“ სატურნირო ცხრილში ქულათა თანაბარი რაოდენობით მესამე-მეოთხე ადგილებს „ოლიმპთან“ იყოფს, რომელსაც 21 აპრილს ბათუმის სპორტის სასახლეში უმასპინძლებს.

* * *

ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა ოკინავური გოჯურიუ კარატე დოში. შეჯიბრება წარმატებული იყო აჭარის ნაკრებისთვის. მიხეილ მელუას შეგირდებმა ტურნირზე სამი - ოქროს, ერთი - ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ გიორგი ხეცოიძე, დაჩი ინაიშვილი და ნიკა ნაკაშიძე. ანდრია საგინაძემ ვერცხლი მოიგო, სანდრო ბასილაძე კი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

რამაზ საყვარელიძე: არ არის გამორიცხული, რომ ოსებმა რუსებთან ეშმაკობა გადაწყვიტეს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*გვესაუბრება პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე**, რომელიც განიხილავს საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკას და აცხადებს, რომ სააკაშვილი აქ ჩამოვიდა არა იმიტომ, რომ მეორე ფრონტის გახსნას დაჰპირდა ზელენსკის, უბრალოდ, შეეშინდა ომის დაწყების და ციხეში ყოფნა არჩია.*

- უკვე აღარც კი საუბრობენ რუსეთ-უკრაინის ომის დასასრულზე - ექსპერტები მის გაგრძელებას და კონფლიქტების გაყინვას ვარაუდობენ.

- შესაძლოა, იყოს რაღაც წყვეტილობა საომარ მოქმედებებში, მაგრამ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ომი დიდ დროს დაიჭერს და უცაბედი გამარჯვება, რომელსაც რუსეთი ელოდა, არ იქნება უახლოეს პერიოდში მაინც.

- 15 წლის განმავლობაში ყირიმის, ლუგანსკის და დონეცკის კონფლიქტების გაყინვაზე ისედაც შეთანხმდნენ სტამბოლის მოლაპარაკებებზე მხარეები. კიდევ რა გაიყინება?

- ვგულისხმობ უკრაინიდან რუსის ჯარის მთლიანად გაყვანას, რაც გაიწელება დროსა და სივრცეში. არც ერთი მხარე არ წავა დათმობაზე, ეს უკვე გასაგებია და ვერც მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდებიან, ყოველ შემთხვევაში, სანამ რომელიმე მათგანი არ მოიპოვებს ბრძოლებში მკვეთრ უპირატესობას. თუკი ლუგანსკი ან დონეცკი დაუტოვა რუსეთს ზელენსკიმ, მაშინ მოსახლეობაში გაჩნდება უკმაყოფილება ამოდენა მსხვერპლის გაღების გამო, რადგან თავის დროზე მხოლოდ ამას და ნეიტრალიტეტს სთხოვდა პუტინი უკრაინას. გამოდის, ქვეყანა დანგრეულია, ათასგვარი საშინელებები - დატრიალებული, ხოლო უკრაინა იმ პირობებში

მდებარე ტერიტორია ნაკლებად ტყიანია და ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ეს უკრაინელ მებრძოლებს ერთგვარ პრიორიტეტს ანიჭებს. შესაბამისად, უკრაინელი სამხედროების თავდაცვითი პოზიციებიდან გამოყვანა რუსეთს ძალიან გაუჭირდება. უკრაინულ მხარეს არ ექნება მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის სტილის სანგრები, მათ ასევე ექნებათ გამაგრებული საკვანძო ქალაქები და სოფლები, რომელთა დაცვასაც აპირებენ. ასევე ამბობენ, რომ უკრაინული ჯავშანტექნიკა და არტილერია წინასწარ მომზადებულ მიწისქვეშა თავშესაფრებშია განთავსებული.

- რა კომენტარს გააკეთებთ არესტოვიჩის განცხადებაზე, რომ იცოდნენ მოსალოდნელი ომის შესახებ, მაგრამ მოსახლეობას დაუმალეს?

- ეს მძიმე განცხადებაა. მსგავსი რამ სხვებმაც თქვეს, რაც იქცა უკრაინელების განსჯის საგნად. ბევრი ისაუბრეს როგორც სოციალურ ქსელებში პოპულარულმა ბლოგერებმა, ისე მედიაში. თუკი მთელი სიგრძე-სიგანით გავიაზრებთ, აღმოჩნდება, როგორსაც ყოველგვარი სისხლის და ნგრევის გარეშე თავიდანვე სთავაზობდა კრემლი.

- უკმაყოფილება ორივე მხარეს აქვს საკუთარ მოსახლეობაში. ზელენსკის პრეტენზიები წაუყენეს „ნაციონალისტებმა“.

- კი, არის ეს პრეტენზიები ზელენსკისთან, მაგრამ იგივე ნეიტრალიტეტზე თანხმობა მან საკმაოდ კარგი ფორმულირებით ჩამოაყალიბა. კერძოდ, მოითხოვა გარანტორებად ნატოს ქვეყნები და აშშ-სგან პირობა - თუკი უკრაინას ვინმე შეეხება, მისი მტერი გახდება, ანუ ნატოს მეხუთე პუნქტისმაგვარ მექანიზმს ქმნიან ორმხრივი ურთიერთობებით და არა - ორგანიზაციით. აი, ამ ტიპის ნეიტრალიტეტს ითხოვს უკრაინა. აცხადებს, რომ არ გაერთიანდება სამხედრო ბლოკში, მაგრამ თუ მას დაემუქრება ვინმე, გვერდით უნდა ჰყავდეს ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მოსალოდნელი სამხედრო აგრესიისგან დაიცავს.

- უკრაინაში ფრონტმა ქვეყნის აღმოსავლეთით გადაინაცვლა, სადაც უკრაინულმა ძალებმა საბრძოლო გამოცდილება მიიღეს და სამხედრო მომზადება გაიარეს. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ უკრაინის არმიის საუკეთესო ქვედანაყოფები სწორედ აღმოსავლეთით, რუსეთის თავდასხმის მოსაგერიებლად მომზადებულ პოზიციებზე არიან გამაგრებული. რა არის მოსალოდნელი აღმოსავლეთ ფრონტზე?

- სამხედრო ჩინი რომ მქონდეს, ალბათ უფრო თავდაჯერებულად ვიტყოდი რამეს, მაგრამ თუკი ამ ქმედებებს პოლიტიკურ ჭრილში გადავიტანთ, როგორც რუსეთისთვის, ისე უკრაინისთვის ამ ბრძოლას ექნება უდიდესი მნიშვნელობა, რადგან კრემლს მარცხიანი ჰქონდა მთელი ომი და ახლა შეეცდება, დაამტკიცოს - მას გამარჯვებაც შეუძლია.

- თუკი გაიმარჯვა რუსეთმა, მაშინ რას უნდა ელოდოს უკრაინა?

- იმაზე მძიმე დღეში აღმოჩნდება უკრაინა, ვიდრე ახლაა. ფაქტია, უკრაინელები ყველა ღონეს იხმარენ, რათა რუსეთს და მთელ მსოფლიოს დაუმტკიცონ, რომ ღირდა მათ გვერდით დგომა და რომ პირნათლად ასრულებენ ევროპის და ცივილიზებული დასავლეთის მცველის როლს. რუსეთის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ მათი ამჟამინდელი ყურადღება დონბასის „სრულ გათავისუფლებაზეა“ გამახვილებული, რაც უკრაინის ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებს გულისხმობს. თუ სამხედრო ექსპერტების სიტყვებს მოვიშველიებთ, აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული რელიეფი რუსეთის ჯარების წინსვლას მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილთან შედარებით, მიუმძიმეს ბრალდებამდე მივდივართ. პრინციპში, ამის გამოვლენა-დამტკიცებაც არ იქნება იოლი. თავად უკრაინელებიც აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე მსგავსი თემის განხილვა და უკრაინის პოლარიზება დაუშვებელია, მოგვიანებით გავარჩიოთო. ასეა თუ ისე, უკრაინის ხელისუფალთ უკვე დაუფიქსირდათ ეს ხარვეზი, რამაც შესაძლოა, სამომავლოდ მძიმე ბრალდების წინაშე დააყენოს ისინი და პასუხი აგებინოს უკრაინელი ერის წინაშე.

- სააკაშვილის საქართველოში შემოსვლის მიზანზე რას გვეტყვით? ამბობენ, ზელენსკის დაჰპირდა, აქედან მეორე ფრონტს გაგიხსნითო?

- არ მგონია, სიმართლეს შეესაბამებოდეს, რადგან მიშა ჩამოვიდა თუ არა, ჩაბარდა ხელისუფლებას. სხვა მიზანი და დავალება რომ ჰქონოდა, შეუერთდებოდა საკუთარ მომხრეებს, დაიმალებოდა. გვახსოვს, სახურავებზეც კი დარბოდა უკრაინაში, პოლიციას რომ არ დაეჭირა, ახლა კი, გადაკრა არაყი და... ჩაბარდა.

- ალბათ, იმედი ჰქონდა, თვითმმართველობის არჩევნებს „ჩემები“ მოიგებენ და რიგგარეშე არჩევნებს დავნიშნავთო.

- არა, მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ვერ გაიმარჯვებდა. სულ სხვა მოვლენებია, რაც ჯერ კიდევ არ არის ნათელი. გაიხსენეთ, არავინ ელოდა რუსეთ-უკრაინის ომს, მაგრამ რომ დაიწყო, უკვე განვიხილავთ სააკაშვილის შემოსვლას ამ ფონზე. შეიძლება, მიშამ იცოდა ომის შესახებ და თავი დააღწია იქაურობას. აი, ამ აზრს უფრო დავეთანხმები.

- გამათავისუფლეთ, გამიშვით უკრაინაში, ზელენსკის უნდა დავუდგე გვერდითო, რატომ ითხოვდა?

- ენას ძვალი არ აქვს. რატომ არ მოითხოვდა, რა...

- როგორ შეაფასებთ ზელენსკის საქართველოს მიმართ გამოხატულ პრეტენზიებს? რატომ სურს ამ ომში ჩვენი ჩათრევა, სხვა ქვეყნებს რატომ არ ახსენებს?

- ალბათ, არც სხვა ქვეყნებზე იტყოდა უარს, მოლდოვაც ახსენა, თუმცა ელჩი მხოლოდ საქართველოდან და მაროკოდან გაიწვია. აქედან გამომდინარე, საინტერესოა - რატომ? ახლა ახსენეთ არესტოვიჩის განცხადება, ყველაფერს ერთად თუ გავიაზრებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ უკრაინის პოლიტიკურ ელიტაში მყოფ ანალგაზრდებს დიპლომატიაში ნაკლები გამოცდილება აქვთ და ამიტომ უშვებენ პოლიტიკურ ხარვეზებს. შეცდომაა, აბა, რა არის, როდესაც ასე გადაეკიდები ამ გაგანია ომის დროს საქართველოს მაშინ, როდესაც თავისუფლად შეგიძლია პარტნიორად იყოლიო და როგორც პარტნიორს, მისცე „უფლება“, გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს. რაც შეეხება მეორე ფრონტის გახსნის მოთხოვნას, ეს არც არის გასაკვირი, რადგან რაც უფრო მეტი ფრონტი გაიხსნება, მით უფრო დაიქსაქსება რუსეთის საჯარისო ნაწილები და უკრაინასაც გამარჯვების მეტი შანსი ექნება, მაგრამ ამის მოთხოვნასაც უფრო მეტი ტაქტი და ლავირება სჭირდება, რასაც ვერ ახერხებს უკრაინის ახლანდელი ხელისუფალი.

- ელიან ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენებას, ეჭვობენ ბირთვულ იარაღზეც...

- რუსეთისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ მას შემდეგ, რაც მან უკრაინაში შეჭრა გადაწყვიტა. ამით დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ არ აინტერესებს არავის აზრი და არ ითვალისწინებს ცივილიზაციის, ისევე როგორც ომის კანონებს, თუმცა, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის სამეფოს სამხედრო წრეები იმედიანად არიან, თვლიან, რომ ვერ მოახერხებს რუსეთი ბირთვული იარაღის გამოყენებას, რადგან იცის, რომ დასავლეთს მიზანში ჰყავს ამოღებული და უფრო სწრაფი რეაქცია ექნება, ასე რომ, ბირთვული ომის საფრთხე, ასე თუ ისე, აცილებული გვაქვს. ნახევარი საათი მაინც ხომ უნდა რაკეტის ბუდეში ჩასმას და მონაცემების შეყვანას, თანაც, როგორც კი ამუშავდება სარაკეტო დანადგარები, ისეთი ხმაური ჰქონია, რომ თავისთავად მიიქცევს დასავლეთის აგენტების ყურადღებას. ფაქტია, მიიღებენ იმაზე სწრაფ რეაგირებას, ვიდრე თავად შეძლებენ სამიზნის აფეთქებას.

- საქართველოს მთავრობის პოზიციას როგორ შეაფასებთ?

- ის საკმაოდ სულგრძელად იქცევა. კარგად იცით, რომ მთელი ჩვენი მოსახლეობა დარჩა შეურაცხყოფილი შავ ხვრელებთან დაკავშირებით უკრაინის რადას თავმჯდომარის განცხადების გამო. ელჩის ჯერ წაყვანა, შემდეგ მობრუნება და ადგილზე გათავისუფლებაც დამამცირებელი იყო სხვა ქვეყნების თვალში. ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ გონივრულად შეაფასა სიტუაცია, რადგან კარგად იცოდა, რა ხალხი იდგა ყოველივე ამის უკან ანუ მმართველი გუნდის წევრები უკრაინას ყველა პრეტენზიას „უტარებდნენ“ და ომში ყოფნის მიზეზით არ აღიზიანებდნენ. პირიქით, კიდევ უფრო ეხმარებოდნენ და სულგრძელად პატიობდნენ დაუმსახურებელ ბრალდებებს. ამიტომ დათმეს და... წავიდნენ პარლამენტარები კიევში, ანუ არ აყვნენ ზელენსკის მთავრობის ბრალდებებს და ადგილზე გაარკვიეს, ვის მიმართ და რატომ ჰქონდათ წყენა.

- ცხინვალის არჩევნებზე და რეფერენდუმზე რას იტყვით - ექნება თუ არა იურიდიული ძალა? ამით რუსეთი კიდევ ერთხელ გვაშინებს?

- რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში „საპრეზიდენტო არჩევნების“ ჩატარება დაგმეს ევროკავშირმა, ნატომ, აშშ-მა და საქართველოს სხვა პარტნიორმა სახელმწიფოებმა. სპეციალური განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში ჩატარებულ ეგრეთ წოდებულ არჩევნებს ცნობენ მხოლოდ ქვეყნები, რომლებსაც საქართველოს ეს ტერიტორია „დამოუკიდებელ რესპუბლიკად“ აქვთ აღიარებული: რუსეთი, ვენესუელა, ნიკარაგუა, სირია და ნაურუ, ანუ იურიდიული ძალა საერთაშორისო განსაზღვრებით, არ ექნება, მაგრამ „ამათ“ ეყოფათ. რაც შეეხება რუსეთს, გაფრთხილება მაშინ იქნებოდა, რომ არ ჰქონოდათ ვადით გათვალისწინებული არჩევნები და რიგგარეშედ მოეწყოთ. რეფერენდუმზე კი ვფიქრობ, თავად ოსების ორგანიზებული, კრემლის საწინააღმდეგოდ მოწყობილი თამაშია. მოგეხსენებათ, მოსკოვი შეჰპირდა ოსებსაც და აფხაზებსაც, შეგიმცირდებათ დაფინანსება, 2025 წლისთვის 18%-მდე დავაო. არ არის გამორიცხული, რომ ოსებმა რუსებთან ეშმაკობა გადაწყვიტეს. ჩაატარებენ რეფერენდუმს, შედეგად მიიღებენ მოსახლეობის რუსეთთან შეერთების მოთხოვნას და შესთავაზებენ საკუთარ თავს კრემლს. ეს ნიშნავს, ტრანშს თუ გვიმცირებ, მაშინ შეგვიერთე და ისე გვარჩინე, ანუ რჩენაზე, გამოკვებაზეა ბრძოლა. ვის ახსოვს პოლიტიკა, ისეთ დღეში არიან.

- აფხაზებს არ აქვთ იგივე გეგმები რჩენასთან დაკავშირებით - საკმაოდ ვაუკაცურად განაცხადეს უარი.

იხ. მე-7 გვ.

> *ვერ მოახერხებს რუსეთი ბირთვული იარაღის გამოყენებას, რადგან იცის, რომ დასავლეთს მიზანში ჰყავს ამოღებული და უფრო სწრაფი რეაქცია ექნება, ასე რომ, ბირთვული ომის საფრთხე, ასე თუ ისე, აცილებული გვაქვს. ნახევარი საათი მაინც ხომ უნდა რაკეტის ბუდეში ჩასმას და მონაცემების შეყვანას, თანაც, როგორც კი ამუშავდება სარაკეტო დანადგარები, ისეთი ხმაური ჰქონია, რომ თავისთავად მიიქცევს დასავლეთის აგენტების ყურადღებას*

უცხოეთი

თურქეთმა ერაყში ქურთისტანის მუშათა პარტიის ბოევიკების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყო, - ამის შესახებ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს. მინისტრ ჰულუსი აკარის თქმით, თურქულმა თვითმფრინავებმა წარმატებით შეუტიეს მუშათა პარტიის თავშესაფრებს, საწყობებსა და გვირაბებს. „ტერორიზმი 40 წელია, ტანჯავს ჩვენს ქვეყანას. პირველი ეტაპისთვის დასახული მიზანი მიღწეულია, ოპერაცია წარმატებით მიმდინარეობს. ბრძოლას გავაგრძელებთ ბოლო ტერორისტის განეიტრალებამდე“, - განაცხადა თურქეთის თავდაცვის მინისტრმა.

* * *

მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა განაცხადა, რომ უკრაინაში რუსეთის ქმედებებს ჯერჯერობით ვერ უწოდებს გენოციდს, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ემანუელ მაკრონი ქვეყანაში მიიპატიჟა. საფრანგეთის სახელმწიფო მდივნის განცხადებით, პრეზიდენტი მაკრონი უკრაინაში ვიზიტს არ გეგმავს, თუმცა შესაძლოა, მოგვიანებით გაემგზავროს კიდეც იმ შემთხვევაში, თუ ეს სასარგებლო იქნება უკრაინისთვის. კლემენ ბონი ასევე მიიჩნევს, რომ ტერმინი „გენოციდი“ შესაძლოა, ზედმეტად კატეგორიული იყოს რუსეთის ქმედებების შესაფასებლად. „არ ვდავობთ, რომ უკრაინაში ხდებოდა მასობრივი მკვლელობები და ბარბაროსობა, მაგრამ გენოციდის ცნება მკაფიო საერთაშორისო-სამართლებრივი შედეგების მომტანია“, - დასძინა მან.

* * *

რუსეთის შეჭრის შემდეგ უკრაინა 5 მილიონამდე ადამიანმა დატოვა, - ინფორმაციას გაეროს ლტოლვილთა სააგენტო ავრცელებს. „ომის დაწყების შემდეგ უკრაინა, 4,9 მილიონი ადამიანის გარდა, დატოვა 215 ათასმა სტუდენტმა და მიგრანტმა მუშაკმა, რომლებიც სხვა ქვეყნების მოქალაქეები იყვნენ“, - განაცხადა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა ფილიპო გრანდმა. სააგენტოს მონაცემებითვე, ყოველი 10 უკრაინელიდან დაახლოებით 6, ანუ 2,76 მილიონი პოლონეთში გადავიდა, 738 862 - რუმინეთში, 484 725 - რუსეთში, ხოლო 458 654 - უნგრეთში.

* * *

უკრაინის სამთავრობო დელეგაცია ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად აშშ-ში ვიზიტს გეგმავს. ქვეყნის პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალის განცხადებით, უკრაინის ეკონომიკური მხარდაჭერა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც რუსული აგრესიისგან თავდაცვა. „გუნდი, რომელიც ფინანსურ პოლიტიკაზეა პასუხისმგებელი, მომავალ კვირაში მიემგზავრება ვაშინგტონში, რათა მსოფლიო ბანკის, საგალუტო ფონდისა და აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელებთან ერთად ვიმუშაოთ უკრაინისთვის ფინანსურ მხარდაჭერაზე“, - განაცხადა შმიგალმა.

* * *

ესტონეთმა რუსეთის ფედერაციის ხომალდებისთვის პორტები დახურა, რითაც მის წინაღმდეგ საზღვაო ბლოკადას შეუერთდა. ევროკავშირის ქვეყნების პორტები დახურულია იმ გემებისთვისაც, რომლებმაც 24 თებერვლის შემდეგ რუსული დროშა სხვა დროშით შეცვალეს. ესტონეთის პორტებში რუსეთის ხომალდებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუშვებენ, თუ ის კატასტროფას განიცდის და ამისთვისაც წინასწარ უნდა შეფასდეს დახმარების აღმოჩენის აუცილებლობა.

მოამზადა
ია შველიძემ

რა სახის დარღვევები გამოვლინდა შუალედურ არჩევნებში?

ხატია იაშვილი 591 98 24 26

მიუხედავად იმისა, რომ 2 აპრილის შუალედურ არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, ოპოზიციის პრეტენზიებს ბოლო არ უჩანს. საჯარო რეესტრში, ერთ მისამართზე, ერთბაშად, დიდი რაოდენობის ადამიანის ჩაწერამაც ეჭვი გააჩინა ოპონენტებში. ამ არჩევნების მიმდინარეობაზე, ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებსა და ევროკავშირის კითხვარზე საუბრობს „აჭარასთან“ ინტერვიუში საიას აჭარის ფილიალის თავმჯდომარე ***პაატა დიასამიძე.***

- როგორ შეაფასებდით შუალედურ არჩევნებს?

- ადგილობრივი თვითმმართველობის შუალედური არჩევნებისთვის ელექტრონული ტექნოლოგიები გამოიყენეს. საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩეველთა რეგისტრაცია, ხმის მიცემის, დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურები ელექტრონული საშუალებებით წარმოებდა, რითაც გამორჩეული იყო ეს პროცესი. თუმცა კომისია არ იყო სათანადოდ მზად, რის გამოც ხარვეზებით ითვლიდნენ ხმებს უბნებზე. იყო შემთხვევები, როდესაც დაგვიანებით გაიხსნა უბანი, რამაც შეაყოვნა ამომრჩეველთა ნაკადი, თუმცა მალევე აღმოიფხვრა ეს ტექნიკური ხარვეზები.

- რაც შეეხება მნიშვნელოვან დარღვევებს?

- ჩვენ დავაფიქსირეთ რამდენიმე დარღვევა, როდესაც პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავება ანუ მისული ამომრჩევლების შესახებ ჩანაწერების გაკეთება ხდებოდა. ეს შევატყობინეთ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მან არ გაითვალისწინა შენიშვნა და იძულებული გავხდით, საჩივარი დაგვეწერა. ასევე იყო პროცედურული ხასიათის დარღვევები, რომელიც ისევ და ისევ, საჩივარში ავსახეთ. თუმცა რაიმე სერიოზული დარღვევა, რაზეც ვიდავებდით და მოვითხოვდით ბიულეტენის გაუქმებას, არ ყოფილა.

- სულ რამდენი საჩივარი შეიტანეთ და თუ დაკმაყოფილდა?

- სულ სამი საჩივარი შევიტანეთ საოლქო საარჩევნო კომისიაში, მაგრამ არ დაკმაყოფილდა. სხვა, როგორც გითხარით, სერიოზულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

- ენმ-მ გამოაცხადა, 29 საჩივარი შევიტანეთო. რამდენად სერიოზული დარღვევები ჰქონდათ ასახული?

- კი, მართალი უთქვამთ, მაგრამ რამდენად სერიოზულ დარღვევებზე იყო საუბარი, რასთან დაკავშირებით შეიტანეს საჩივრები, არ ვიცი და ვერ გეტყვით. ჩვენ ვერაფერი სერიოზული ვერ დავაფიქსირეთ. ორი შემთხვევა იყო აგიტაციის წესის დარღვევის. ბიულეტენის ბათილობაზეც კი ვერ მოვახერხეთ დავა. არც ბალანსის დაჯენაზე ყოფილა პრეტენზიები.

- ერთ-ერთ ინტერვიუში ოპოზიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხმების ელექტრონული დათვლის მოდელი მმართველ გუნდს აძლევს კენჭისყრის პიროვნულად გაკონტროლების საშუალებას, ანუ კიდევ ერთი ბერკეტი ჰქონდათ ამომრჩევლის დასაშინებლადო.

- ვერიფიკაციის აპარატი არის პოზიცია-ოპოზიციის შეთანხმების შედეგი. ეს მათი ინიციატივაა და შესაბამისად, აქ გაუგებარია, რასთან დაკავშირებით ჰქონდათ პრეტენზია. თავად ეს აპარატი საკმაოდ მარტივი გამოყენებისაა, შიგ ჩაუშვებ ბიულეტენს და საბოლოო დათვლამდე გაძლევს ქვითარზე ამობეჭდილ წინასწარ მონაცემებს, სადაც დაფიქსირებულია მომსვლელი ამომრჩევლის რაოდენობა, შემდეგ ამოიღებენ, გადათვლიან, ბალანსს დააჯამებენ. სწორედ ხელით გადათვლილს ეძლევა იურიდიული ძალა და აქ შანტაჟის მექანიზმად რა უნდა გამოიყენონ, ვერ ვხვდები.

აქვე აღვნიშნავ, რომ ჯერ კიდევ 2021 წლის 12 ივნისს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ელექტრონული ტექნოლოგიების მოდელის სიმულაცია განხორციელდა. დაიტესტა როგორც ელექტრონული ტექნოლოგიებით, ასევე სტანდარტული პროცედურებით ჩატარებული კენჭისყრის პროცესი. „სამართლიანი არჩევნები“ აკვირდებოდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ცესკოში მიმდინარე კენჭისყრის დღის სიმულაციის პროცესს, როგორც კენჭისყრის მიმდინარეობისას, ასევე შედეგების შეჯამების დროს. სიმულაციაში მონაწილეობდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის, პოლიტიკური პარტიების, სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ პროცესის ყველა მონაწილის მხრიდან შეინიშნებოდა ინტერესი და მაღალი ჩართულობა, რაც პროცესს ინკლუზიურს ხდიდა. სიმულაციური საარჩევნო კომისია 17 წევრისაგან შედგებოდა, აქედან 8 წევრი ცესკოს საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტიდან იყო შერჩეული, ხოლო 9 წევრი წარადგინეს ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა. აქედან გამომდინარე, თუკი რაიმე სახის შენიშვნა ჰქონდათ, შეეძლოთ პროტესტი გამოეთქვათ, თუმცა მსგავსი არაფერი ყოფილა.

- რას იტყვით „ძველ ბიჭებზე“, რომლებზეც ყველა არჩევნებზე ხდება აპელირება?

- გარდა იმ საჩივრებისა, რაზეც მოგახსენეთ, რამდენჯერმე გამოვიძახეთ პატრული. მოგეხსენებათ, უბანთან ასმეტრიან დისტანციაში აკრძალულია შეკრება, რაც რამდენჯერმე დავაფიქსირეთ. მათ შორის, არჩევნების მიმდინარეობისას მობილიზებული იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ ამომრჩეველზე. იყვნენ პარლამენტარები, საკრებულოს „ქართული ოცნების“ პარტიის წევრები თუ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. ეს ხალხი აშკარად ახდენდა გარკვეულ გავლენას მოსახლეობაზე და მათ მობილიზებას ახდენდა საარჩევნო უბნებთან.

- ანუ, თანამდებობის პირის იქ ყოფნაც კი აკრძალული იყო?

- გაარჩია, ვინ დადგება უბანთან. როდესაც თანამდებობის პირი ან საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი დგას და ინიშნავს, მივიდა თუ არა კონკრეტული ამომრჩეველი არჩევნებზე, უკვე ზეგავლენად ითვლება. თუ მივიდა და დაინახა ის ადამიანი, რომელიც მასთან მხარდაჭერაზეა შეთანხმებული, ცხადია, ფსიქოლოგიურად ავალდებულებს კონკრეტულ კანდიდატს მისცეს ხმა. მაქსიმალური მობილიზება მე თავად დავაფიქსირე. პარლამენტარების ჩამოყვანა, როდესაც 14 საარჩევნო უბანი მოქმედებს, ადმინისტრაციული რესურსების მაქსიმალურ მობილიზებად განიხილება. პარლამენტარს აქვს მანდატი, ხალხში გავლენით სარგებლობს, რასაც იყენებს საკუთარი კანდიდატის გასაყვანად.

- საჯარო რეესტრში რიგგარეშე ჩაწერაზე რას იტყვით?

- ეს საკმაოდ დიდი პრობლემა გახდა. აქ იყო ეჭვის რეალური საფუძველი და ის მონაცემები, რაც გამოქვეყნდა, არ იყო მოგონილი. საერთოდ, 1053 კაცზე საუბრობდნენ, მაგრამ 402 ადამიანი ერთ მისამართზე (ფრიდონ ხალვაშის პროსპექტის მიმდებარედ) იყო ერთბაშად ჩაწერილი.

- აქ საუბარია ე.წ. მუყაოს ქალაქის ტერიტორიაზე მშენებარე კორპუსში ჩაწერაზე?

- კი, თანაც სახლს ჯერ ნომერიც არ აქვს და ზუსტი მითითება შეუძლებელია. ერთად ამდენი პირის ჩაწერა ბადებდა ამომრჩევლის მოსყიდვის ეჭვს. წესით, ფაქტზე გამოძიება უნდა დაწყებულიყო, თუ არ დადასტურდებოდა, შეწყდებოდა საქმე, რაც არ მოხდა. ამის პარალელურად, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტერიტორიაზე უხვად იფრქვეოდა წინასაარჩევნო დაპირებები ბინების უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით. აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად იყო „ქართული ოცნების“ კანდიდატი ამ ოლქში რამაზ ჯინჭარაძეც, რომელიც პირადად იცნობს ამ ხალხს. ეს დაპირებები რიგით თანხვედრაშია წინასაარჩევნო აქციებთან ანუ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტთან გვაქვს საქმე.

- გამოძიებას რა უნდა დაედგინა?

- უნდა გამოეკითხა 400-ვე ადამიანი არჩევანის გაკეთების ზეგავლენაზე, თუკი ეჭვი არ დადასტურდებოდა, გამოძიება შეწყდებოდა, მაგრამ არაფერი გამოუძიებიათ.

- ძირითადად, ადამიანის უფლებების რა ტიპის დარღვევებზე მოგმართავენ საიას?

- ძირითადად, დაკავებული ადამიანების უფლებების დარღვევაზე ვდებულობთ განაცხადებს, გამოხატვის თავისუფლების დარღვევაზეც საუბრობენ, რომ არ აძლევენ შეკრების უფლებას. არაერთი ასეთი საქმე გვქონია სასამართლოში, რომელიც ჩვენი ჩარევით შეწყდა და ზიანის ანაზღაურებაც კი ვითხოვეთ უკანონო ადმინისტრაციულ სასჯელთან დაკავშირებით. ბევრი მოდის საოჯახო ძალადობის, ბინიდან უკანონოდ ამოწერის, სამსახურიდან უკანონოდ გაშვების, ხელფასის არასრულად აღების, უკანონო მიშენებების გამო ჯარიმის გამოწერის თაობაზე თუ სხვა ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ აღმოვუჩინოთ ყველას იურიდიული დახმარება, გავუწიოთ კონსულტაცია, როგორ მოაგვარონ ესა თუ ის საკითხი. ამასწინათ, შევწყვიტეთ საბრალდებო პროცესი, რადგან დავამტკიცეთ, რომ დაკავება უკანონო იყო და სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია.

- რას იტყვით ევროკავშირის კითხვართან დაკავშირებით?

2022 წლის 11 აპრილს, ლუქსემბურგში, სამეზობლო და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ილია დარჩიაშვილს, ევროკავშირში წევრობის განაცხადზე კითხვარი გადასცა. საია მიესალმება ფაქტს, რომელიც ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

- რა როლი აკისრია კითხვარს საქართველოს ევროკავშირში შესვლის გზაზე?

- ევროკომისრის მიერ საქართველოსთვის კითხვარის გადაცემა ქვეყნის მხრიდან ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული განაცხადის თანმდევი პროცესია. დოკუმენტში დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხის საფუძველზე, ევროკომისია შეაფასებს ქვეყანაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობას ევროკავშირის სამართალთან კოპენჰაგენის კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

- რას წარმოადგენს დოკუმენტი?

- დოკუმენტი შედგება სამი ნაწილისა (პოლიტიკური კრიტერიუმი, ეკონომიკური კრიტერიუმი, რეგიონული თანამშრომლობა) და დაახლოებით 35 თავისგან. თითოეული თავი ეხება ევროკავშირის პოლიტიკის სხვადასხვა სფეროს, მათ შორის, დემოკრატიას და კანონის უზენაესობას, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას, ეკონომიკურ, სოციალურ საკითხებს და სხვა. დოკუმენტში თავმოყრილია რამდენიმე ათასი კითხვა, რომლებსაც ევროკავშირის წევრობის მსურველმა სახელმწიფომ უნდა უპასუხოს. შევსებულ დოკუმენტზე დაყრდნობით, ევროკომისია შეიმუშავებს მოსაზრებას (ავის), რომელსაც წარუდგენს ევროკავშირის საბჭოს. ეს უკანასკნელი გადაწყვეტს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა 27-ვე წევრი ქვეყნის თანხმობა.

- რა არის ევროკავშირში გაწევრიანების კრიტერიუმები?

- ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობების, კოპენჰაგენის კრიტერიუმების თანახმად, იმისთვის, რომ სახელმწიფო გახდეს ევროკავშირის წევრი, ის უნდა იყოს ევროპული ქვეყანა და აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

პოლიტიკური კრიტერიუმი - იმ ინსტიტუტების სტაბილურობა, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების დაცვასა და პატივისცემას;

ეკონომიკური კრიტერიუმი - ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა და ევროკავშირში არსებული საბაზრო ძალებისა და კონკურენციის ზეგავლენასთან გამკლავების უნარი;

ადმინისტრაციული კრიტერიუმი - წევრობის ვალდებულებების აღების უნარი, მათ შორის, იმ წესების, სტანდარტებისა და კანონების ეფექტურად იმპლემენტირების უნარი, რომლებიც ქმნიან ევროკავშირის საერთო სამართლებრივ სივრცეს და უზრუნველყოფენ მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და მონეტარულ ერთიანობას.

მნიშვნელოვანია, რომ მოცემული კრიტერიუმების „გაზომვის“ რაიმე საყოველთაო სტანდარტი არ არსებობს და მათი შეფასება ხდება წევრობის მსურველი თითოეული ქვეყნის ინდივიდუალურ შემთხვევაზე დაყრდნობით. წევრობის ზოგადი კრიტერიუმების სიღრმისეულად შემოწმების საშუალება სწორედ ევროკომისიის კითხვარია.

- როგორ გაგრძელდება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი და რამდენი ხანი დაგჭირდება კითხვარის შესავსებად?

- კითხვარის შევსება, როგორც წესი, ხანგრძლივი პროცესია. სხვა ქვეყნებს, მის შესავსებად წლებიც კი დასჭირდა. განსხვავებული რეალობის წინაშეა საქართველო, უკრაინა და მოლდოვა. რუსეთის მიერ უკრაინაზე განხორციელებულმა უპრეცედენტო, გაუმართლებელმა სამხედრო აგრესიამ დაჩქარა აღმოსავლეთ პარტნიორობის ტრიოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი. შესაბამისად, კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს ევროკავშირი დაჩქარებულად განიხილავს და თითოეული ეტაპის გავლას იმაზე ნაკლები დრო დასჭირდება, ვიდრე ეს სტანდარტულადაა გაწერილი.

ამ ეტაპზე, შეცვლილი რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ დროულად, დაინტერესებული პირების მაქსიმალური ჩართულობით დაიწყოს კითხვარის შევსების პროცესი, რათა გადაწყვეტილების მიღება ამ მიზეზით, დროში არ გაიწელოს.

- დაახლოებით როდისთვის აპირებს ევროკავშირი ამ საკითხის განხილვას?

- 2022 წლის 23-24 ივნისს, ევროპული საბჭოს ფორმატში, დაგეგმილია წევრი ქვეყნების ლიდერების სამიტი. დასავლური მედიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ შეხვედრისთვის უნდა მოამზადოს ევროკომისიამ მოსაზრება უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის მზაობაზე, მიენიჭოთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

> *ვერიფიკაციის აპარატი არის პოზიცია-ოპოზიციის შეთანხმების შედეგი. ეს მათი ინიციატივაა და შესაბამისად, აქ გაუგებარია, რასთან დაკავშირებით ჰქონდათ პრეტენზია. თავად ეს აპარატი საკმაოდ მარტივი გამოყენებისაა, შიგ ჩაუშვებ ბიულეტენს და საბოლოო დათვლამდე გაძლევს ქვითარზე ამობეჭდილ წინასწარ მონაცემებს, სადაც დაფიქსირებულია მომსვლელი ამომრჩევლის რაოდენობა, შემდეგ ამოიღებენ, გადათვლიან, ბალანსს დააჯამებენ. სწორედ ხელით გადათვლილს ეძლევა იურიდიული ძალა და აქ შანტაჟის მექანიზმად რა უნდა გამოიყენონ, ვერ ვხვდები*

საგარეო მიმართულებების პრიორიტეტები განიხილეს

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ახლად დანიშნულ საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილთან შეხვედრისას ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმართულებების პრიორიტეტები განიხილა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს ევროინტეგრაციის დაჩქარებული პროცესი და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად გადმოცემული კითხვარი იყო.

„საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს პრეზიდენტს ინფორმაცია მიაწოდა მის ბოლოდროინდელ ვიზიტებთან დაკავშირებით. შეხვედრისას ისაუბრეს მაისში, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე დაგეგმილ ქალ ლიდერთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქალი ლიდერები პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროებიდან“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

„2022 წელი ქალთა შრომითი უფლებების დაცვის წლად გამოვაცხადეთ“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ახლოვდება 28 აპრილი, სამუშაო ადგილებზე დასახიჩრებულთა და დაღუპულთა ხსოვნის დღე და პირველი მაისი, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. რას აკეთებს ამ მიმართულებით პროფესიული კავშირი, რა გეგმები და პერსპექტივები აქვს, გვესაუბრება პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე ***ზურაბ ცეცხლაძე.***

- ბატონო ზურაბ, წელს თქვენ მიერ ჩატარებულ რომელ აქტივობას გამოარჩევთ?

- ყველა აქტუალური იყო, თუმცა აღვნიშნავდი მიმართვას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში მედიკამენტების ფასების დარეგულირებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის წინაშე საკითხის განხილვის ინიცირებას აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის მიერ. ჩვენი ინიციატივა ითვალისწინებდა სახელმწიფოს მხრიდან დოტაციების გაზრდას დაბალი ბიუჯეტის სოციალურად დაუცველი, შშმ პირებისა და პენსიონერების მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის. საინტერესო იყო 7 მარტს, ქალთა დღეების კვირეულის ფარგლებში, ჩვენი ორგანიზებით დისკუსიის ფორმატში ჩატარებული „მრგვალი მაგიდაც“, თემაზე „ქალთა უფლებები“, დისკუსია გაიმართა ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროების, სექსუალური ძალადობის, ფემიციდის, იძულებითი ქორწინების, იძულებითი აბორტის და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით. ყურადღება დაეთმო, ასევე, ქალის შრომითი უფლებების დაცვას, განსაკუთრებით, სამუშაოზე აყვანის, ორსულობისა და დეკრეტული შვებულების ანაზღაურების დროს. ვისაუბრეთ საწარმოო დაწესებულებებში არსებულ პრობლემებზეც მიუხედავად იმისა, რომ შრომით კანონმდებლობაში შეიტანეს გარკვეული ცვლილებები ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მიდგომების აღმოფხვრის მიზნით, განისაზღვრა შევიწროების ცნება და შრომის ინსპექციას მიენიჭა უფლება, განახორციელოს კონტროლი არათანასწორი მიდგომების აღმოსაფხვრელად.

- რას გვეტყვით უკრაინის დახმარებაზე?

- უკრაინელი ხალხის მხარდამჭერი ოფიციალური განცხადება გავავრცელეთ საჯაროდ და გამოვთქვით მზადყოფნა, რუსეთ-უკრაინის ომის გამო საქართველოში დარჩენილ მოქალაქეებს დავხმარებოდით სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტაში, განსაკუთრებით სამართლებრივი და შრომითი მიმართულებით. გაერთიანებაში შეიქმნა რუსეთ-უკრაინის ომში დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარების შტაბი და სპეციალური ანგარიში თანხების აკუმულირებისათვის. უკვე მოგროვდა სოლიდური თანხა, რითაც უკრაინელი ხალხისათვის შევიძინეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამედიცინო საშუალებები. ამ ტვირთის ტრანსპორტირება უკვე განხორციელდა.

- გქონდათ თუ არა დავები სასამართლოში?

- ახლახან ბრწყინვალე გამარჯვებით დავასრულეთ ორი სადავო საქმე სასამართლოსა და აღსრულების ორგანოებში. ერთი ეხებოდა გიორგი მიქელაძისა და სულხან ვაშაყმაძის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებას, ხოლო მეორე - აჭარის საპატრულო პოლიციის ჯარიმას. უკანონოდ დაჯარიმდა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის წევრი მინდია კახიძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. პირველ საქმეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორივე მოსარჩელე აღადგინეს სამსახურში პირვანდელ პოზიციაზე, შესაბამისად, შპს „MAQRO“-ს გიორგი მიქელაძის სასარგებლოდ დაეკისრა სამუშაოზე აღდგენამდე იძულებითი განაცდური თვიურად 480 ლარის, ხოლო სულხან ვაშაყმაძის სასარგებლოდ - სამუშაოზე აღდგენამდე იძულებითი განაცდური თვიურად 500 ლარის ოდენობით. მთლიანობაში 64 000 ლარამდე აიღო ორივე დაზარალებულმა სრულად. რაც შეეხება საპატრულო პოლიციის ჯარიმის შემთხვევას, გაუქმდა მინდია კახიძის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილება და სააპელაციო სასამართლომ ახალი დადგენილება გამოიტანა. შესაბამისად, ბათილად ცნო მინდია კახიძის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (ელექტრონული საჯარიმო ქვითარი) და საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს დადგენილება. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო ყველას, ვინც ჯერაც არ ხართ გაერთიანებული პროფკავშირულ ორგანიზაციებში, დაუყოვნებლივ შექმენით პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები თქვენს საწარმოებსა და დაწესებულებებში და გაწევრიანდით მასში. შესაბამისად, თქვენ მიიღებთ უმაღლეს დონეზე ყველა სახის იურიდიულ დახმარებას (სასამართლო პროცესების ჩათვლით). გარანტირებულად და აბსოლუტურად უსასყიდლოდ დავიცავთ თქვენს შრომით და ყველა სხვა უფლებას პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების იურისტების დახმარებით.

- გაქვთ თუ არა განსაკუთრებული პროექტები, რომლითაც დაინტერესებთ პროფკავშირის წევრებს.

- შრომის უფლებების დაცვის მიმართულებით ყველაზე მეტად უჭირთ ქალებს. ამიტომ 2022 წელი გამოვაცხადეთ ქალთა შრომითი უფლებების დაცვის წლად. პირველი ეტაპისათვის უკვე გამოკვლეული და დამუშავებული გვაქვს საკითხები, რომელიც წლების განმავლობაში აწუხებთ დასაქმებულ ქალებს და რაც საჭიროებს უმოკლეს დროში მოგვარებას. მათგან უმეტესობა საკანონმდებლო დონეზეა გადასაწყვეტი. ესენია: გენდერული თანასწორობის დაცვა შრომის ბაზარზე, სამუშაოზე აყვანის დროს, კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ კარიერული დაწინაურების დროს; წინადადებების განხილვა შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის გაჩენის გამო შვებულების ანაზღაურების (კომპენსაციის) გაზრდას ქვეყანაში არსებული ეკონომიკური (ფასების ზრდისა და ინფლაციის) მდგომარეობის გათვალისწინებით; ფეხმძიმე ქალებისათვის დამატებითი სპეციალური შეღავათებისა და დამატებითი დასვენების შემოღება; ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის გაჩენის გამო შვებულებიდან სამსახურში დაბრუნებული დასაქმებულების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; მარტოხელა მრავალშვილიან და მარჩენალდაკარგულ ქალთა სტატუსის განსაზღვრა და მათთვის გარკვეული შეღავათების დაწესება; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შეზღუდვა სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას, ბავშვის 3 წლამდე ასაკის მიღწევამდე; შრომის არაფორმალური ბაზრიდან (სექტორიდან) დასაქმების ფორმალურ სექტორში გადმოსვლისთვის კონკრეტული ღონისძიებების გატარება; მინიმალური ხელფასის დადგენის მიზნით, არსებული კამპანიის გაძლიერება და მისი განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე; მამაკაცისა და ქალის შრომის თანაბარი ანაზღაურების სისტემატური მონიტორინგის განხორციელება; ქალის შრომის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მთავარ პრიოროტეტად ქცევა; სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მექანიზმის მაქსიმალურად გამოყენებით კოლექტიურ ხელშეკრულებებში ისეთი ვალდებულებების შეტანა, რომლებიც გაუმჯობესებს დასაქმებულ ქალთა შრომით უფლებებს.

- შრომის კოდექსში რა სიახლეებია?

- შრომის კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, ახლებურად დარეგულირდა შრომითი ხელშეკრულების დადების პირობები, ინდივიდუალური და კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმების დროს განისაზღვრა ხელშეკრულების არსებითი პირობები, ცვლილებები შევიდა შვებულებებისა და მივლინების წესებში, სამუშაო, შესვენებისა და დასვენების დრო ახლებურად ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით გაუმჯობესდა საშვებულებო პირობები ორსულობის, მშობიარობისა და ახალშობილის შვილად აყვანის, ასევე ბავშვის მოვლის გამო. ძირეული ცვლილებები შევიდა შრომითი ურთიერთობების შეჩერების, შეწყვეტისა და მასობრივი დათხოვნის ნორმებში. კოდექსში გაჩნდა დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები. შეიცვალა ინდივიდუალური დავის განხილვისა და გადაწყვეტის წესები, შემოვიდა გაფიცვისა და ლოკაუტის ცნებები და მათი მარეგულირებელი ნორმები. რაც ყველაზე მთავარია, ჩამოყალიბდა სამმხრივი კომისიის მარეგულირებელი ნორმები, დამსაქმებლის, დასაქმებულისა და მთავრობის მონაწილეობით შეიქმნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია (სათათბირო ორგანო), რომელიც ანგარიშვალდებულია სამმხრივი კომისიის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. თუ ადრე შრომის ინსპექცია ამოწმებდა მხოლოდ შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევას, ახლა მისი მანდატი გაიზარდა და ამოწმებს შრომითი ნორმების დარღვევასაც. ღირსეულად ანაზღაურდება დასაქმებულის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო, თანაც დამსაქმებელს აღარ შეეძლება იმდენი საათი ამუშაოს დასაქმებული ზეგანაკვეთურად, რამდენიც მას მოესურვება. ღამის სამუშაოს მიმართულებით განხორციელდა გარკვეული პოზიტიური შეზღუდვები დასაქმებულის ინტერესების დასაცავად, რომ არ მოხდეს ცვლაში გადაბმით დასაქმება. შშმ პირებს ექნებათ ღირსეული დასაქმების შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია ღამით მუშაობის დროს, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებლის მხრიდან საკუთარი ხარჯებით, მუშაობის პროცესში, პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება. ახალი კოდექსის პირობებში გაჩნდა სტაჟირების მარეგულირებელი ნორმები, რაც გამორიცხავს სტაჟირების განუსაზღვრელ ვადას და მისი მაქსიმალური ვადაა არაანაზღაურებადი სტაჟირების დროს 6 თვე, ხოლო ანაზრაურებადი სტაჟირებისას - ერთი წელი.

- რა პრობლემების წინაშე დგებით ყველაზე ხშირად?

- პრობლემები მრავალმხრივია, არსებობენ დასაქმებულები, რომელთა უფლებები ირღვევა სამუშაო ადგილებზე, არანორმირებული სამუშაო საათებით, მათ მიმართ არასათანადო შრომითი პირობების შექმნით, ასევე საშიშპირობებიან და ჯანმრთელობისათვის სახიფათო სამუშაოს შესრულების დროს უსაფრთხოების წესების დაუცველობით და სხვა. მოქმედი კანონმდებლობა არ გვანიჭებს ისეთ უფლებამოსილებებს, ადგილზე შევამოწმოთ შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები და რაიმე გადაწყვეტილება მივიღოთ დამრღვევის მიმართ, ამიტომ პროფკავშირების მხრიდან დახმარების აღმოჩენა შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი კონსულტაციითა და საჭირო შემთხვევაში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებით სასამართლოში ან დავის განმხილველ სხვა ორგანოებში. ამჟამად, პროფკავშირების წინაშე მდგარი სირთულეების მთავარი მიზეზი საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებაა. თუ გაეცნობით „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, ნახავთ, რომ პროფესიულ კავშირებს არ გააჩნია შრომითი უფლებების დაცვის ფუნქციები, რომელიც დამოუკიდებელი ეფექტური ბერკეტის როლს შეგვითავსებს. მხოლოდ პროცესებში მონაწილეობის მიღება და საზოგადოებრივი კონტროლი არ არის საკმარისი. მთავარ სირთულეს წარმოადგენს პროფესიული კავშირების ისტორიული წარსული, საიდანაც მთლიანად ჯერაც არ გათავისუფლებულა პროფკავშირები.

- რა შეღავათები გაქვთ თქვენი წევრებისთვის და ვის ანიჭებთ ამ კუთხით პრიორიტეტს?

- პროფკავშირები, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზებას უკეთებს დასაქმებულთა მასობრივ გაფიცვებს და მანიფესტაციებს. გაფიცვების შემთხვევაში, ვეხმარებით მისი ჩატარების კანონმდებლობის დაცვით უზრუნველყოფაში და ფინანსურადაც. თუმცა შემოსავლების სიმცირის გამო, ეს დახმარება მნიშვნელოვანი არ არის. ამისათვის პროფკავშირებში შექმნილია საგაფიცვო ფონდი, სადაც თანხების აკუმულირებას ვახდენთ შემდგომში ამ მიზნით გამოყენებისათვის. სასამართლოში დავის დროს, სახელმწიფო ბაჟს ძირითადად იხდის თავისი წევრებისათვის პროფკავშირების გაერთიანება ან დარგობრივი პროფკავშირები, ხოლო დაცვის უზრუნველყოფა არის აბსოლუტურად უსასყიდლო პროფკავშირის წევრებისათვის.

- როგორ ემზადებით პირველი მაისისთვის?

- გვიახლოვდება ორი მნიშვნელოვანი თარიღი, რომლებსაც პროფკავშირები, ტრადიციულად, ღირსეულად ატარებს, ესენია: 28 აპრილი, სამუშაო ადგილებზე დასახიჩრებულთა და დაღუპულთა ხსოვნის დღე და პირველი მაისი, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. 28 აპრილს ჩვენი ორგანიზაციის წევრები, ტრადიციულად, პატივს მივაგებთ სამუშაო ადგილებზე დაღუპულების ხსოვნას. ამასთან დაკავშირებით, გაერთიანების წევრ ორგანიზაციებში ტარდება სხვადასხვა ღონისძიება. ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეების გაცნობა-სწავლებასა და მის პრაქტიკაში განხორციელებას უბედური შემთხვევების შემცირების მიზნით. სამუშაო ადგილებზე დასახიჩრებულთა და დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, ქალაქის რომელიმე სკვერში ხეებს ვრგავთ. განსაკუთრებულად ვემზადებით საპირველმაისო აქციისათვის, რომელზეც ვიწვევთ პროფკავშირის წევრთა ოჯახებს (ბავშვები, ახალგაზრდები), საწარმო-დაწესებულებებში იკვრება საინფორმაციო დაფები ახალი ინფორმაციებით, აქციას უზრუნველყოფთ ტექნიკური საშუალებებით. აქვე ვიტყვი, რომ თანამედროვე სამყაროში დასაქმების ეფექტური პოლიტიკა ადამიანის სხვა უფლებების რეალიზების გარანტიას ქმნის. პიროვნების თავისუფალი განვითარება, კეთილდღეობის ზრდის, უსაფრთხოებისა და ღირსეული ცხოვრების შექმნა მხოლოდ ღირსეული შრომის პირობებშია შესაძლებელი. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ისეთი ამოცანების რეალიზებას, როგორიცაა სიღარიბისგან დაცვა, სახელმწიფოს დახმარებაზე დამოკიდებულების შემცირება, ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, თანასწორობის უზრუნველყოფა, სტაბილური და ჰარმონიული განვითარება, ქალის როლის გაძლიერება და შესაბამისად, დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრა, სოციალური სამართლიანობა და უსაფრთხოება, განათლებისა და პროფესიონალიზმის განვითარება და სხვა. ამიტომ, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი უნდა იყოს დასაქმებულის უფლებების დასაცავად სათანადო გარემოს შექმნა, ამავდროულად, ისეთი სამართლებრივი რეგულირების მოდელების შემუშავება, რომელიც უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გარანტიებს.

> ***„თუ ადრე შრომის ინსპექცია ამოწმებდა მხოლოდ შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევას, ახლა მისი მანდატი გაიზარდა და ამოწმებს შრომითი ნორმების დარღვევასაც. ღირსეულად ანაზღაურდება დასაქმებულის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო, თანაც დამსაქმებელს აღარ შეეძლება იმდენი საათი ამუშაოს დასაქმებული ზეგანაკვეთურად, რამდენიც მას მოესურვება. ღამის სამუშაოს მიმართულებით განხორციელდა გარკვეული პოზიტიური შეზღუდვები დასაქმებულის ინტერესების დასაცავად“***

ის დღე ტკივილიან მოგონებად რჩება

23 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა 1989 წლის 19 აპრილს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში განვითარებულმა სტიქიამ, მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა მილიონობით კუბური მეტრი მიწის მასაში მოყოლილი ადამიანების ცხედრების მოსაძებნად, სამ მათგანს ველარ მიაკვლიეს. სტიქიის შემოტევიდან 48-ე დღეს წაბლანელი (წაბლიანი) დავით შაინიძის ცხედარი იპოვეს და ძებნაც შეწყვიტეს. ამ უბედურების ეპიცენტრში მრავალი ადამიანი იყო, მაგრამ სხალთის თემის (სასოფლო საბჭოს აღმასკომის) ხელმძღვანელს იზოლდა სურმანიძეს ყველაზე მეტი გადახდა.

- 1989 წლის 19 აპრილი, ორშაბათი - ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საშინელი და ტრაგიკული დღე, რომელიც გადაიქცა გაუსაძლის ტკივილად. მოულოდნელად მოწყვეტილმა სოლგომანის მთამ მიწის მასის ქვეშ მოიქცია სოფელ წაბლანის ჩანჩურიხევის უბანი 7 ოჯახითა და სამუშაოზე მყოფი ადამიანებით. მეწყერში მოჰყვა 23 ადამიანი. სხალთაში გლოვა გამოცხადდა, შეწყდა საგაზაფხულო სამუშაოები, მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა. გვეხმარებოდა ყველა, ვისაც რითი შეეძლო. დავიწყეთ სამძებრო სამუშაოები. ცხედრის ნახვაც კი ჩვენ და ჭირისუფალს წამიერ სიხარულს გვგვრიდა. ძებნა 48 დღეს გრძელდებოდა, სამი ადამიანი დარჩა მეწყრის ქვეშ.

- სპეციალისტები დღემდე რეალურ ინფორმაციას არ გვაწვდიან ამ მოვლენის შესახებ. თქვენი აზრით, რა გახდა სტიქიის შემოტევის მიზეზი?

- მიზეზი ბევრია, პირველ რიგში, 1989 წლის უხვთოვლობა და გაზაფხულის მაღალი ტემპერატურა, შედეგად, თოვლის ინტენსიური დნობა, ასევე, ხე-ტყის გაუფრთხილებელი გაჩეხვა გზის გასაყვანად.

- ადამიანები, რომლებიც გეხმარებოდნენ...

- მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და შეიძლება, ვერ გავიხსენო საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან დასახმარებლად მოვლენილ ადამიანთა სახელ-გვარები, თუმცა არასდროს დამავიწყდება ის 50 მექანიზატორი, თავიანთი ტექნიკით 48 დღის განმავლობაში, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად რომ აწარმოებდა სამძებრო სამუშაოებს. ცხედრების ძიებაში ჩართული იყო არა მარტო ხულოს, არამედ აჭარის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის და მეზობელი რეგიონების მოსახლეობა, თბილისელი მექანიზატორებიც.

- რამდენად იყო გამართლებული მაშინდელი ხელისუფლების მიერ დაზარალებული ოჯახების გადაყვანა ტურისტულ ობიექტებში?

- ეს იყო ძალზე მტკივნეული პროცესი ორი სოფლის - წაბლანისა და წაბლიანის მოსახლეობისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ ამ პროცესში დაიღუპა ორი წლის ბავშვი. დაცარიელდა სოფლები, გაიყიდა პირუტყვი, ფრინველი, სოფლისათვის საჭირო ატრიბუტები, დარჩა მხოლოდ გამოკეტილი სახლები და წინაპართა საფლავები.

- წაბლანის ტრაგედიამ სათავე დაუდო აჭარის მთიანეთიდან მოსახლეობის გაყვანას ქვეყნის 40-მდე რაიონში. ამ პროცესებს 33 წლის გადასახედიდან როგორ აფასებთ?

- მთიანი აჭარის მოსახლეობისათვის გაჩნდა დიდი შანსი, ესარგებლა მთავრობის ამ გადაწყვეტილებით და გადასულიყო საცხოვრებლად საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. მოსახლეობამ ორგანიზებულად დაათვალიერა და შეარჩია საქართველოს სხვადასხვა რეგიონი, დაიწყო ჩასახლების პროცესი. სხალთის თემიდან, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, საცხოვრებლად გადავიდა 1200-მდე ოჯახი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, მათ შორის კომპაქტური ჩასახლებები დაიწყო გორის, ქარელის, საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, თეთრიწყაროს, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, გურიის რეგიონში, სადაც შრომისმოყვარე მოსახლეობამ ცხოვრების საუკეთესო პირობები შეიქმნა და დღესაც კარგად არიან.

- წაბლანელებმა საცხოვრებლად ქვემო ქართლის სოფელი დისველი ამოირჩიეს, მათ ახალი ქართული სოფელი ააღორძინეს.

- დაზარალებული წაბლანის მოსახლეობამ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ დისველში, მუხლჩაუხრელი შრომით მართლაც შექმნა და ააღორძინა კიდევ ერთი ქართული სოფელი. ყველა მათგანთან დღესაც დიდი ურთიერთობა და სიყვარული მაკავშირებს.

- მოვლენიდან მე-40 დღეს იავარქმნილი ტერიტორია მოინახულა ილია II. იმ დღეს 150-ზე მეტი ადამიანი მართლმადიდებლობას ეზიარა.

- დიდი ბედნიერება და პატივია, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ეწვია 19 აპრილს სტიქიური უბედურების ადგილს. ტაძარში პარაკლისი აღავლინა მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად, რის შემდეგაც ნათლობა ჩაატარა სხალთის მონასტერში, სადაც უამრავი ადამიანი ეზიარა მართლმადიდებლობას. სწორედ ამ დღეს მოვნათლე ჩემი სამი ქალიშვილი, რომელთაგან ერთ-ერთის ნათლია თვით პატრიარქი გახდა.

- 2013 წელს, საყოველთაო ნათლობის დღეს, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მართლმადიდებლობას თქვენც ეზიარეთ.

- იცხოვრო სხალთის მონასტრის შემოგარენში, რომელიც ჩვენი მდიდარი წარსულის სახე და სახელი, ცხოვრების სარკეა, თავისთავად დიდი პატივია. აქ კარგად ჩანს ჩვენი წარსული, დღევანდელობა და მომავალი, ყოველივე ეს გათვითცნობიერებული მაქვს და შესაძლებლობის ფარგლებში ვემსახურები ღირსეული წინაპრების დანატოვარ და ჩემ მიერ დაბრუნებულ სულიერ მრწამსს.

- მრავალგზის იყო მცდელობა, რომ იავარქმნილი ტერიტორია კეთილმოეწყოთ. ეს საპატიო საქმე სისრულეში მოიყვანა ხულოს მუნიციპალიტეტის ახლანდელმა მერმა ვახტანგ ბერიძემ. როგორც საკრებულოს წევრს, თქვენ რა ადგილი გეჭირათ ამ საქმეში?

- მართლაც, გამუდმებით იყო მსჯელობა და კამათი ტრაგედიის ადგილის კეთილმოწყობასა და მემორიალის დადგმის თაობაზე. საქმის განხილვაში, რა თქმა უნდა, წაბლანის მოსახლეობასთან ერთად, აქტიურად ვმონაწილეობდი. საბოლოოდ შეთანხმებას მივაღწიეთ და სათანადო პროექტის შესაბამისად, ტერიტორია და მემორიალი სრულყოფილად კეთილმოეწყო. როგორც 19 აპრილის ტრაგედიის მომსწრემ, მადლობა მინდა გადავუხადო ხულოს მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ვახტანგ ბერიძეს აღნიშნული საკითხისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის.

- საზოგადოებას ახსოვს თქვენი პრინციპული გამოსვლა წაბლანაში ჩატარებულ ხსოვნის მიტინგებზე...

- ტრაგედიის ადგილზე ნებისმიერი პარტიის წარმომადგენელმა და პოლიტიკოსმა პატივი უნდა მიაგოს დაღუპულთა ხსოვნას. სრულიად მიუღებელია ასეთ ღონისძიებებზე პოლიტიკური ანგარიშსწორება. ასეთი პოლიტიკოსები საზოგადოების თვალში არ აღიქმებიან ადამიანებად.

- 3 ათეული წლის განმავლობაში წაბლანელთა ერთი ნაწილი საცხოვრისის გარეშე რჩებოდა. ახლა რა მდგომარეობაა?

- აჭარის მთავრობის პასუხისმგებლობით და ინიციატივით, წაბლანისა და წაბლიანის სოფლების 223 ოჯახისათვის ბათუმში აშენდა საცხოვრებელი კორპუსები. სოფლად დარჩენილები კი სარგებლობენ ყველა იმ პროექტითა და პროგრამით, რომელიც ხელს უწყობს სოფლად მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებასა და განვითარებას. ჟამთა სვლა ვერ ანელებს ტკივილს, დავიწყებას ვერ მიეცემა 19 აპრილის ტრაგედია. ჩემს მეხსიერებაში იგი მძიმე და ტკივილიან დღედ რჩება. სული ახლაც ისეა აფორიაქებული, როგორც მაშინ.

> *„დაზარალებული წაბლანის მოსახლეობამ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ დისველში, მუხლჩაუხრელი შრომით მართლაც შექმნა და ააღორძინა კიდევ ერთი ქართული სოფელი. ყველა მათგანთან დღესაც დიდი ურთიერთობა და სიყვარული მაკავშირებს*

„ვაზს თუ მოუვლი, რთველიც ბარაქიანი გექნება“

ნახევარი საუკუნის წინ, შუახევის რაიონულ გაზეთ „დროშის“ მაშინდელმა რედაქტორმა სერგო კაკაურიძემ არმიის რიგებიდან დაბრუნებული გურამ აბაშიძე ტექნიკურ მუშაკად დანიშნა. გასული საუკუნის 70-იანი წლების ამ პერიოდულ გამოცემას თუ გადაფურცლავთ, ხშირად წააწყდებით სტატიებს გურამ აბაშიძის ხელმოწერით. მალე სხვა სამუშაოზე გადავიდა. 16 წლის განმავლობაში, რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელების მანქანების საჭესთან იჯდა. კეთილსინდისიერ მუშაკს დაბა შუახევის ცენტრში, ახლად აშენებულ 45-ბინიან სახლში, ოროთახიანი ბინა საჩუქრად გადასცეს.

ხელისუფლების ცვლას გურამის საქმიანობაში არაფერი შეუცვლია. იგი შუახევის რაიონის პირველი პრეფექტის ავტომანქანის საჭესთან აღმოჩნდა, ბოლო 18 წლის განმავლობაში შუახევის რაიონის გამგეობისა და საკრებულოს პასუხისმგებელი პირების მანქანებს მართავდა. მას დიდ ნდობას უცხადებდნენ. ამის დასტურია მატერიალური წახალისებები, ის მადლობის სიგელები, რომელიც ახლა გურამის საოჯახო არქივს ამშვენებს.

სამსახურებრივ საქმეს კარგად უხამებდა ოჯახურ მეურნეობაში შრომასაც. სოფელ ნიგაზეულში გურამისთანა ვენახი არავის აქვს. 600 ძირი ცოლიკაურის, ჩხავერის, საფერავის ჯიშის ვაზს მზრუნველი პატრონის ხელი ატყვია. მისი მარნის ხშირი სტუმრები არიან უცხოელი და ადგილობრივი ტურისტები. 4 შვილის მამა, 10-ზე მეტი შვილიშვილის ბაბუა, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებით სარგებლობს და შთამომავლობას ვაზთან ამეგობრებს. ვაჟი გიორგი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის ვეტერანია. მასაც კარგად ხელეწიფება ვაზის მოვლა.

გურამმა აჭარა-გურიის ქედის ერთ განშტოებაზე, მთა ჯანჯღნარზე, სადაც ოჯახი ზაფხულობით პირუტყვს მირეკავს, საკარტოფილე ნაკვეთიც მოაწყო. შარშან 2 ტონაზე მეტი ბოსტნეული მიიღო, ნაწილი ოჯახს მოახმარა, ნაწილი ნამეტ მეცხოველეობის პროდუქტებთან ერთად, ქვეყნის ბაზარზე გაიტანა.

75 წელს მიტანებულ გურამს მხედველობამ უმტყუნა, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს როსტომ ლორთქიფანიძეს სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე განცხადებით მიმართა. მანაც მადლობის სიგელით გააცილა.

- ამიერიდან ვაზთან, მარანთან ურთიერთობისთვის მეტი დრო მექნება, - თქვა გურამმა, - მარნის გაფართოებას და საოჯახო სასტუმროს მოწყობას ვაპირებ. უხვთოვლიანმა ზამთარმა ბევრი მევენახე დააზარალა, მე ვაზს დროზე მივეშველე და გადავარჩინე. ყველა სამუშაოს დროულად და აგროწესების დაცვით ვასრულებ. ზოგიერთს გასხვლაც არ ჰქონდა დაწყებული, როცა მე პირველი წამლობა ჩავატარე. ვაზს თუ მოუვლი, რთველიც ბარაქიანი გექნება. 20 წელია ამ საქმეს მივსდევ და ვაზიც არ მღალატობს.

ბუნებით ბოძებული სიმდიდრის დამცველი

აჭარა-შავშეთის ქედზე მთა ღომას, ლაშეს შემოგარენში ხე-ტყე კარგადაა შენახული. ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში და ახლაც ბევრმა სცადა მისი ხელყოფა, მაგრამ ბუნებასა და საქმეზე შეყვარებულმა მეტყევეებმა, წინათ ნოდარ აბუსელიძემ, ბაირამალ ნაკაშიძემ და ახლა ზურაბ ბერიძემ ბრაკონიერებს ხეტყის რეალიზაციით გამდიდრების მსურველებს ბუნებით ბოძებული სიმდიდრის ხელყოფის საშუალება არ მისცეს.

ზურაბი თითქმის 20 წელია მეტყევის რთულ და საპატიო საქმეს ემსახურება.

- მთა ღომა და მისი შემოგარენი მალე საკურორტო ზონად გამოცხადდება. ჩვენი ვალია არსებული გარემოს შენარჩუნება და ახლის განაშენიანება. ამ მიზნით, 10 წლის წინ, 10 ჰექტარამდე ტერიტორია შემოვღობეთ. წიფლის, ნაძვის, სოჭის ხეები უკვე წამოიზარდა. მას პირუტყვი ვეღარ დააზიანებს. თუ შესაბამისი ორგანოებიდან მზაობა იქნება, კიდევ ვაპირებთ 10-მდე ჰექტარი ტერიტორიის შემოკავებას, - გვითხრა ზურაბ ბერიძემ.

ტყის რესურსების დაცვისა და მოვლა-შენახვის საქმეში ზურაბს შუახევის სატყეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა უდგას გვერდით. ზურაბი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანის მკვიდრია. ეს სოფელი უშუალოდ მთა ღომას ემიჯნება. ბუნების სიმდიდრეს აქაურებიც უფრთხილდებიან.

- 12 წელია ტყის მცველი ვარ. ათეულობით ადამიანს ხელი გავუმართე, რომლებიც სოფელში ან მთა ღომაზე სახლებს, დამატებით სათავსოებს იშენებენ. მომდურავი და მომჩივანი არ მყავს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ისევ ტყისკენ იმზირებიან, ამ განძით სურთ ჯიბის გასქელება. მათ მიმართ ყოველთვის დაუნდობელი ვიყავი და ვიქნები, ტყე თაობებს უნდა შევუნარჩუნოთ, - ამბობს ზურაბი.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელს შეუძლია იყოს კარგი მედიატორი

მედიატორის პროფესია ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ იშვიათი ხილია, ამიტომ მასზე ძალიან ცოტა იცის საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა. მალე უაღრესად საჭირო ამ პროფესიით სულ უფრო მეტი მოქალაქე დაინტერესდება

ამ საქმეს ემსახურება მედიაციის შესახებ საქართველოს ახალი კანონიც და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაც, მაგრამ სანამ მასზე მოგითხრობდეთ, ურიგო არ იქნება, ჩვენს მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შევუქმნათ ზოგადად, მედიაციის შესახებ, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება სხვადასხვაგვარი კონფლიქტის გადასაჭრელად. მედიატორის პროფესია დღითი დღე ვითარდება, მისი განსაზღვრება და მნიშვნელობა კი იხვეწება. მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზაა, სადაც კონფლიქტის მოგვარების გზებზე თავად მონაწილე პირები იღებენ გადაწყვეტილებას. იგი ნებაყოფლობითი ხასიათისაა, მხარეები მიმართავენ მესამე, ნეიტრალურ პირს - მედიატორს, რომელიც თავის მხრივ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის კომუნიკაციას უზრუნველყოფს და მათ საშუალებას აძლევს, პასუხისმგებლობა აიღონ თავიანთი კონფლიქტის გადაწყვეტის გზაზე. მედიაციის უპირატესობაა ისიც, რომ ეს პროცესი უფრო ნაკლებ დროსა და დანახარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე სასამართლო დავა, რომელიც ხშირად ძალიან დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია და მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოლაპარაკების შეწყვეტა.

ვინ არის მედიატორი? მედიატორი მესამე პირია მედიაციის პროცესში - მიუკერძოებელი, დაბალანსებული მონაწილე, რომელიც უძღვება მხარეებს ყოველგვარი გადაწყვეტილების მიღებისა და ძალის დემონსტრირების გარეშე. ის არ იძლევა რჩევებსა თუ მითითებებს, არ სთავაზობს გზებს, თუ როგორ შეიძლება გადაიჭრას მიმდინარე კონფლიქტი. მხოლოდ უზრუნველყოფს გარემოს, სადაც დაპირისპირებულ მხარეებს შესაძლებლობა ექნებათ, ისაუბრონ, გამოხატონ საკუთარი თავი, მოუსმინონ ერთმანეთს და თუ შესაძლებელია, მივიდნენ საერთო შეთანხმებამდე. მედიატორის ფუნქციის შესასრულებლად საჭირო პიროვნული მახასიათებლები და უნარ-ჩვევები შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელს. სრულწლოვნების ასაკს მიღწეული ნებისმიერი ზრდასრული ადამიანი შეიძლება გახდეს მედიატორი. 2019 წელს საქართველოში ძალაში შევიდა კანონი მედიაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც შეიქმნა მედიატორთა ერთიანი რეესტრი. მედიაციის შესახებ საქართველოს ახალ კანონში მედიატორად განსაზღვრება „მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და თანახმაა, წარმართოს მედიაცია, მიუხედავად მისი სტატუსისა და არჩევის/დანიშვნის წესისა“. ახალმა კანონმა ქვეყანას შესაძლებლობა მისცა, შეემუშავებინა მედიატორთა აკრედიტაციის პირობები და კრიტერიუმები და შეექმნა მედიატორთა ერთიანი რეგისტრაციის სია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიაციის სწავლება 2021 წლიდან მიმდინარეობს. მედიაციის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა ბსუ-ში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროექტის MEDIATS-ის ფარგლებში შემუშავდა. ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში გადამზადდა ლექტორ-მასწავლებლები, რომლებმაც შეიმუშავეს და უძღვებიან აღნიშნულ პროგრამას. მას ამჟამად 15 მსმენელი ჰყავს, რომლებსაც საშუალება მიეცათ, ევროკავშირის დაფინანსებით ორკვირიანი სტაჟირება გაევლოთ ესპანეთში, მურსიას უნივერსიტეტში, სადაც ისინი ესწრებოდნენ ინტენსიურ ტრენინგებს მედიაციის დარგში, მონაწილეობდნენ სიმულაციებსა და შიდა სასწავლო ვიზიტებში, ჯგუფურ აქტივობებსა და კულტურულ ტურებში. მონაწილეები მურსიას რეგიონის იუსტიციის ქალაქში პრაქტიკოს მედიატორებსაც შეხვდნენ.

ჩვენ გავესაუბრეთ ზოგიერთ მათგანს:

ელენა სურმანიძე: - თავდაპირველად, როდესაც მედიაციის პროგრამაზე სწავლა დავიწყე, ვფიქრობდი, რომ აქ შეძენილ უნარ-ჩვევებს ჩემს საქმიანობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვიყენებდი, ვფიქრობდი, რომ ვინაიდან იურისტი არ ვარ, მედიატორად მუშაობა გამიჭირდებოდა, თუმცა აღმოვაჩინე, რომ ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელს შეუძლია იყოს კარგი მედიატორი. გარდა იმისა, რომ აქტიური სწავლება და ტრენინგები ჩაგვიტარდა ბსუ-ში, სტაჟირება გავიარეთ ესპანეთში, მურსიას კათოლიკურ უნივერსიტეტში. ჩემთვის უაღრესად საინტერესო იყო ამ მიმართულებით ევროპული გამოცდილების გაზიარება. მედიატორის პროფესია ჩვენს ქვეყანაში ახლა იკიდებს ფეხს. ვფიქრობ, მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას სამომავლოდ ნაყოფიერად გამოვიყენებ. ვთვლი, რომ ძალიან კარგი პროფესია შევიძინე, მადლობა ბსუ-ს და ERASMUS+-ს ამ შანსისთვის.

ქეთევან ჯიშკარიანი: - მედიაციის პროგრამაში მონაწილეობამ სრულიად სხვა თვალით დამანახა იურისტის პროფესია. პროგრამის ფარგლებში ჩატარებული იმიტირებული მედიაციის დროს განსხვავებული დამოკიდებულება და პასუხისმგებლობა ვიგრძენი დავის მონაწილე მხარეების მიმართ. მედიაციის პროცესი ერთი შეხედვით მარტივი, თუმცა საკმაოდ რთული და კომპლექსურია - მხარეებს უნდა მისცე შესაძლებლობა, რომ თანაბრად და სწორად გამოავლინონ მათი დამოკიდებულებები, შესაძლებლობები, ემოციურად განიტვირთონ. გარკვეულწილად, ეს არის „კარგი იურისტის“ ფუნქციაც, დავის პროცესის მართვა ყველა ეტაპზე და იმ ეტაპზეც, როდესაც მხარეები ჯერ კიდევ იწყებენ ურთიერთობას, თუმცა ამ დროს იურისტს არა მხოლოდ სამართლებრივი აზროვნება და მტკიცებულებების გაზომვა, არამედ უფრო მეტად ფსიქოლოგის უნარჩვევები სჭირდება. სწორედ ეს იყო აღნიშნული პროგრამის მიზანიც, მედიაციასთან პროფესიულად დაკავშირებული ადამიანებისთვის მედიატორის უნარ-ჩვევების გაღრმავება, პროცესის რეალური აღქმის განვითარება და ნდობის მოპოვება. ჩემი და ჩემი კოლეგების შთაბეჭდილებებიდან და ემოციებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მიზანი მიღწეულია.

სოფიკო ნაკაშიძე: - ჩემთვის ამ პროფესიის ყველაზე დიდი ხიბლი ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი გამოყენების შესაძლებლობაა... ამ პროგრამაზე სწავლისას, დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად მომავლის პროფესიაა, რადგან დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი უამრავი დროის, ენერგიის, ფინანსების დაზოგვის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა. პროგრამა დატვირთული იყო როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილით - „სწავლა კეთებით“ პრინციპით. ლექცია-სემინარები გვიტარდებოდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო სტაჟირება გავიარეთ ესპანეთში, მურსიის კათოლიკურ უნივერსიტეტში. დიდი მადლობა პროგრამის განმახორციელებელ გუნდს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ევროკავშირს - პროგრამების: MEDIATS-ის და ERASMUS+–ის ფინანსური მხარდაჭერისა და ამ შესაძლებლობისთვის.

მარი მიდასელი

ეს მხოლოდ დასაწყისია

2022 წლის 18 აპრილს აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელ საბჭოს სხდომაზე, საბჭოს 8 წევრის მხარდაჭერით, მიენიჭა მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების სამი პროგრამის განხორციელების უფლება, ესენია: „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ (გადამზადება), „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ (გადამზადება), „თექის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადება“ - (მომზადება).

ამ სიახლესთან დაკავშირებით აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის დირექტორმა ვახტანგ ბერიძემ გვითხრა: „ეს ჩვენი პირველი მცდელობის შედეგია! გაგრძელება ექნება ამ ახალ ინიციატივას და მალე კიდევ 4 პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებაზე შევიტანთ განაცხადს, რომელიც უპასუხებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. გილოცავთ ყველას, ვინც გულშემატკივრობთ ჩვენს სკოლას, ეროვნულ საქმეებს და ქართულ კულტურას. მადლობა აჭარის

განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მორალური და ფინანსური მხარდაჭერისათვის! ვულოცავ საკუთარ თავსაც, საშემსრულებლო მენეჯმენტში ძალების მოსინჯვის შემდეგ ჩემს თავს ვეკითხებოდი, რის გაკეთებას შევძლებდი საგანმანათლებლო მენეჯმენტში და ეს სასიხარულო ფაქტი არცთუ ურიგო დასაწყისია“.

მარი მიდასელი

რამაზ საყვარელიძე: არ არის გამორიცხული, რომ ოსებმა რუსებთან ეშმაკობა გადაწყვიტეს

მე-3 გვერდიდან

- აფხაზებთან შედარებით, ოსებს გაცილებით უარესი მდგომარეობა აქვთ - ჩიხში არიან და რუსეთს იქით გზა არ აქვთ. ცხადია, თუ საქართველოს არ ჩავთვლით. ორივე ამ რეგიონს მძიმე პერიოდი უდგება, რადგან თავად რუსეთს ეწყება კრიზისი.

- რუსეთს საკუთარი ეგრეთ წოდებული სახალხო რესპუბლიკები უკვე გაურბიან და სანქციებით გამოწვეული კრიზისი რომ დამძიმდება, პარტნიორი ქვეყნები არ განუდგებიან?

- ჯერჯერობით რუსეთს ჩინეთი ჰყავს ყველაზე საიმედო პარტნიორად, რადგან მართლაც ძლიერი ქვეყანაა, მაგრამ არც ცნობილი გამოთქმა უნდა დავივიწყოთ: „ჩინეთს პარტნიორები არ ჰყავს“. მართლაც, პრინციპულად არავისთან დებს საპარტნიორო ხელშეკრულებას, თავი რომ არ შეიზღუდოს. ჩინეთი აკეთებს მხოლოდ იმას, რაც მას ხელს აძლევს. ეს დაამტკიცა კიდეც, რადგან ახლაც ისე იქცევა, როგორც აწყობს. რუსეთის გადამტერება, ცხადია, არ უნდა, მაგრამ არც საერთაშორისო საზოგადოების გადამტერება უნდა და რაღაც-რაღაცებს იმიზეზებს, რომ არ ჩაერთოს მოსკოვის საწინააღმდეგო სანქციებში, ამასთან, კრემლს უბოდიშებს, როგორ ვიყიდო შენგან ნავთობი, როდესაც საბანკო ანგარიშსწორების სისტემა გამოსულია მწყობრიდან და ანაზღაურებას ვერ მოგცემო, ანუ სანქციებს არ ახორციელებს, მაგრამ არც რუსეთს უმართავს ხელს ნავთობის გაყიდვაში. არცერთ მხარეს თითქოს არ იჭერს, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც აზარალებს კრემლს. მას ახლა ყველაზე მეტად აინტერესებს ის რუსული ტერიტორიები, რომელსაც თანდათანობით ითვისებს, ანუ „პარტნიორულად“ ახდენს რუსეთის არაოფიციალური ანექსიას. ასე რომ, ჩინეთისთვის რუსეთი ჩინელების მიწებით დაკმაყოფილება უფროა, ვიდრე ისეთი მეგობარი, რომელსაც ხელს შეაშველებს და მძიმე პერიოდში დაეხმარება.

სტიქიის შედეგად დაღუპულებს პატივი მიაგეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

1989 წლის 19 აპრილს სხალთის ხეობაში ჩამოწოლილმა მეწყერმა 23 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ბუნებამ ხულოელებსა და მათ ახლობლებს ეს მსხვერპლი არ აკმარა და ამ ტრაგედიიდან 9 წლის შემდეგ, 1998 წლის 18 აპრილს, კარას მთიდან მოწყვეტილი მიწის დიდი მასა სოფელ ვაშლოვანის ტერიტორიაზე ღვარცოფის სახით წამოვიდა და თან ჩაიყოლია 52 წლის დარიკო აბულაძე და მისი 4 წლის შვილიშვილი, სატბაოს ღელეში კიდევ 4 ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე, მათ შორის, ხულოში სტუმრად მყოფ კახეთის მკვიდრს.

ხულოელები და მათი სტუმრები ყოველი წლის 18 აპრილს სატბაოსთან იკრიბებიან და პატივს მიაგებენ სტიქიის შედეგად დაღუპულებს. ასე იყო წელსაც. დაღუპულების ახლობლებთან ერთად, აქ მოვიდნენ ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რევნარ ბოლქვაძე, მოსწავლეები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ გვირგვინი და ყვავილები მიიტანეს იავარქმნილ ტერიტორიაზე დადგმულ ხსოვნის მემორიალთან, გაიხსენეს დაღუპულები, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ეპისკოპოსის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 18/04/22, 20 20 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ქართული სიტყვისა და მუსიკის საღამო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დედაენისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომელშიც ახალგაზრდა მომღერლები ანა ლომიაშვილი (სოპრანო) და ერეკლე გურგენიძე (ბარიტონი) მონაწილეობდნენ, კონცერტმაისტერი - საქართველოს დამსახურებული არტისტი ნატალია ჭანტურიშვილი

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობის სტუდენტებმა შეკრებილთა წინაშე დედაენისადმი მიძღვნილი პერფორმანსი წარმოადგინეს. იგი აერთიანებდა ბგერებს, ტექსტების ნაწყვეტებს. ამ ვერსიის ავტორი გახლდათ პედაგოგი მარინა ბურდული. ქართული მუსიკა კი აჟღერდა რომანსების სახით. შესრულდა ქართველ კომპოზიტორთა - დიმიტრი არაყიშვილის, რევაზ ლაღიძის, ალექსი მაჭავარიანის, იაკობ ბობოხიძის, არჩილ ჩიმაკაძის, ნიკოლოზ გუდიაშვილის, ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებები. რამდენიმე საკონცერტო ნომერი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს მიეძღვნა.

ხსენებული მომღერლები ბავშობიდან იცნობენ ერთმანეთს. მათი პირველი მასწავლებელი რევაზ ლაღიძის კოლეჯში პედაგოგი ლია ჯაში იყო. კოლეჯის დამთავრების შემდეგ ჯერ ანამ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (ახლა მაგისტრანტები არიან), შემდეგ ერეკლემ და ბათუმელებმა ურთიერთობა განაახლეს. ისინი ერთად გამოდიან სხვადასხვა პროექტში.

პანდემიამ ბევრი რამ გააჩერა და ხელოვანებიც არ იყვნენ გამონაკლისები. „სალონური საღამოები“, რომლის ეგიდითაც ვოკალისტები და პიანისტები აწყობდნენ შეხვედრებს, გადაიტანეს ონლაინსივრცეში. ასე იყო 2020 წელს, როცა ერეკლესა და ანას ამ ფორმატით ჩატარებულ კონცერტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამგვარად გაიმართა მომდევნო საღამოები - „ქართული რომანტიზმი“, „იტალიური რომანტიზმი“. მას მოჰყვა,შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, ბათუმის ხელოვნების ცენტრსა და მაჭახელას ეროვნულ პარკში საკმაოდ წარმატებული კონცერტები, ასევე სოფელ ქედქედში - კლასიკური მუსიკის კონცერტი (ორგანიზატორი - გურანდა დოლიძე). საინტერესო იყო მათი გამოსვლა ნიკო ნიკოლაძის სახელობის სახლ-მუზეუმში.

ამჯერად საღამოში მონაწილეობისთვის მომღერლები ნატალია ჭანტურიშვილს დაუკავშირდნენ. პროფესიონალი პიანისტი ძალიან მომთხოვნია ვოკალისტების მიმართ, ამიტომ სოლისტები ამბობენ, რომ მასთან ურთიერთობით ძალიან გაუმართლათ, უხარიათ, როცა მის შექებას იმსახურებენ. გადაწყვეტილი აქვთ, ეს თანამშრომლობა გააგრძელონ. მომღერლებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმისთვისაც, რომ შედგა კოლაბორაცია ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტთანაც, სახელოვნებო სასწავლებელი საქართველოში არ არის ბევრი, არადა, ასეთი ურთიერთობა აუცილებელია, რათა ახალგაზრდა მომღერლების საქმიანობა უფრო ნაყოფიერი გახდეს. წარმატებული პროექტი რექტორ მაია ჭიჭილეიშვილის თანადგომის წყალობით შედგა.

როგორც აღვნიშნეთ, საღამოზე ქართული მელოდიები აჟღერდა. ქართული სულით გაჟღენთილმა საღამომ განსაკუთრებული განწყობა და ემოცია მოიტანა, რაც მსმენელსაც გადაედო და დამსახურებული ტაშით დააჯილდოვა კონცერტში მონაწილე შესანიშნავი ახალგაზრდა მომღერლები. როგორც გვითხრეს, სხვა კონცერტებსაც გეგმავენ. ახლა მათ სიღნაღში, ვანო სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმში ელოდებიან. ზაფხულში, სავარაუდოდ, ბათუმშიც, საზაფხულო თეატრში იმღერებენ, ოღონდ იქ სხვა პროგრამა ექნებათ. რა თქმა უნდა, ქართული მუსიკის პოპულარიზაციას კვლავაც გააგრძელებენ, თუმცა მსმენელს ევროპულ მუსიკასაც შესთავაზებენ.

- დღეს მოვისმინე ამ ორი შესანიშნავი მომღერლის გამოსვლა. ვაჟი შედარებით ახალგაზრდაა. მახსოვს ერეკლეს პირველი გამოსვლა. თავიდან არ უნდოდა ვოკალს გაჰყოლოდა. არადა, ძალიან სასიამოვნო ხმა აქვს. მოვახერხეთ, რომ გაეგრძელებინა ვოკალის ხაზით საქმიანობა. დღეს ყველამ დავინახეთ, რა შესანიშნავი ტემბრი, ლამაზი ხმა აქვს ერეკლეს... ამავდროულად ძალიან არტისტულია. ამასწინათ თბილისში ჰქონდა კონცერტი, იქაც კარგი გამოხმაურება დაიმსახურა და მინდოდა მოსმენა. დღეს კმაყოფილი ვარ - მისი სახით ერთ-ერთი ძალიან კარგი ვოკალისტი ეზრდება საქართველოს. მიხარია, რომ ბათუმელია. რაც შეეხება გოგონას, შეიძლება ითქვას, რომ უკვე ჩამოყალიბებული ვოკალისტია, კარგად მუშაობს და წარმატება აუცილებლად მოვა, - გვითხრა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, აჭარის პირველმა ვიოლინომ თემურ შალვაშვილმა.

ბათუმელი ვარ და ჩემთვის აქ ჩამოსვლა ყოველთვის დიდი ზეიმია. მე ვერ (არ) გავხდი თბილისელი. აქ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარეც დიდი ურთიერთობები მაქვს. რაც შეეხება დღევანდელ კონცერტს, ძალიან კარგები არიან. ბოლო ხანს დიდი წინსვლა აქვთ. თუ მათ ბედი გაუღიმებს (ფორტუნაზე ბევრია დამოკიდებული), ეს ძალიან კარგი იქნება. ყველაფერს ვიღონებ, რომ ერეკლე უცხოეთში გავუშვა. ახლა სულ მასთან ვარ. ანა არაჩვეულებრივი გოგონაა, ზღაპრული ხმა აქვს. თუმცა სოპრანოები ძალიან ბევრია და მინდა, რომ მან დაიმკვიდროს თავისი ადგილი. ორი სიმღერა უკრაინას მივუძღვენი და ძალიან ვინერვიულე, რადგან ჩემმა შვილიშვილმა ნატა კოლესნიკოვამ და მისმა მეუღლე ჟენია ბორისენკომ ორი თვე სარდაფში გაატარეს. ჟენია ექიმია და იქ უწევდა დახმარებას ბავშვებს, უკეთებდა ოპერაციებს. ახლა როცა ითქვა, რომ ხარკოვსაც ძლიერად დაბომბავენ (მისი კლინიკა უკვე აღარ არსებობს, განადგურებულია, არც ბინა აქვთ), იქიდან გამოიქცნენ პოლტავაში. ერთი სული მაქვს როდის ჩამოვლენ. თუმცა იმასაც ვშიშობ, რომ ჩემს სიძეს არ გამოუშვებენ როგორც ექიმს, - თქვა ნატალია ჭანტურიშვილმა.

- ანასთან და ირაკლისთან ვმუშაობდი რევაზ ლაღიძის სახელობის კოლეჯში, ჩემთან ემზადებოდნენ. დაამთავრეს და უმაღლესი ქულებით ჩაირიცხნენ კონსერვატორიაში, თუმცა ურთიერთობა არ გაგვწყვეტია, ძალიან გახარებული ვარ, რომ ჩემი აღზრდილები დღეს ასე კარგად წარმოჩნდნენ. დიდ წარმატებებს ვუსურვებ ორთავეს. ახლა ძალიან დიდი პროფესიონალის ხელში არიან, ქალბატონი ნატალია არის შესანიშნავი პიროვნება, ქველმოქმედი ადამიანი, - გვითხრა ლია ჯაშმა.

წარმატებებს ვუსურვებთ ახალგაზრდა მომღერლებს, რომლებიც თავიანთი შემოქმედებითი წარმატებებით, გვჯერა, კიდევ არაერთხელ გაგვახარებენ - აუცილებლად იტყვიან თავიანთ სიტყვას დიდ სცენებზე.

უკრაინა

რუსი ოკუპანტების მიერ უკრაინის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ლვოვის დაბომბვის შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა და 11 დაშავდა. ამის შესახებ ლვოვის რაიონული სამხედრო ადმინისტრაციის უფროსმა მაქსიმ კოზიცკიმ განაცხადა. მისივე ინფორმაციით, ლვოვზე 4 სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა, საიდანაც სამმა სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტებს დაარტყა, ერთი მათგანი კი სამოქალაქო დანიშნულების ობიექტს მოხვდა. „სარაკეტო იერიშმა ხანძარი გამოიწვია, ობიექტები მნიშვნელოვნად დაზიანდა. სამწუხაროდ, არიან დაღუპულები და დაშავებულები. დაშავებულთა შორის ერთი ბავშვია“, - განაცხადა რაიონული სამხედრო ადმინისტრაციის თავმჯდომარემ.

* * *

რუსი ოკუპანტების განცხადებები მარიუპოლის მოახლოებული დაცემის შესახებ არ დასტურდება - თავდაცვის სამინისტროში იმედოვნებენ, რომ უკრაინის ჯარი ქალაქის ბლოკადის გარღვევას შეძლებს, - ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელმა კირილ ბუდანოვმა გერმანულ ჟურნალ SPIEGEL-თან ინტერვიუში განაცხადა. მან ასევე აღნიშნა, რომ აქამდე რუსმა ოკუპანტებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ქალაქი აღებულია, რაც ჯერ არ მომხდარა. „მარიუპოლი არის ჩვენი ხალხისა და ჯარისკაცების გმირობის ძეგლი და მაგალითი. ქალაქის დაცემაზე კარგა ხანია საუბრობენ - რუსები ჯერ ამტკიცებდნენ, რომ ქალაქი უკვე აიღეს, შემდეგ თქვეს, რომ მისი აღება გარდაუვალი იყო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს თვეზე მეტია არ მუშაობს“, - განაცხადა ბუდანოვმა. მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ მარიუპოლი გაუძლებს და არ დაეცემა. ბუდანოვი ასევე დარწმუნებულია, რომ „რაღაც მომენტში უკრაინის ჯარი ბლოკადის გარღვევას შეძლებს“.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა უკრაინელი ჯარისკაცები მარიუპოლში იარაღის დაყრისა და დანებებისკენ მოუწოდა, რაზეც უკრაინელებმა ოკუპანტებს უარი უთხრეს. ცნობისთვის, უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ აქამდე განაცხადა, რომ თუ რუსეთი მარიუპოლში მყოფ უკრაინელ სამხედროებს გაანადგურებს, რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებები შეუძლებელი გახდება.

* * *

რუსმა სამხედროებმა მოკლეს ყოველი მეხუთე მცხოვრები, რომელიც ოკუპირებულ ბუჩაში დარჩა. ამის შესახებ ბუჩაში გარდაცვლილთა ცხედრების ექსჰუმაციის შედეგად გახდა ცნობილი. ინფორმაციას ბუჩას მერი ანატოლი ფედორუკი ავრცელებს. „ჩვენ ბუჩაში დავითვალეთ: მოკლულია ყოველი მეხუთე იმ ადამიანიდან, რომელიც ოკუპაციისას ქალაქში დარჩა და მე პირადად, როგორც ათასობით თანამოქალაქეს, ვგრძნობ სიძულვილს მათ მიმართ, ვინც აწამებდა და კლავდა მშვიდობიან ბუჩელებს“, - განაცხადა მან. ანატოლი ფედორუკის ინფორმაციით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები სამოქალაქო პირების წინააღმდეგ დაფიქსირდა ბუჩასა და ვორზელში. „განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია ჯგუფური გაუპატიურება და ბავშვთა მკვლელობა. ეს დაფიქსირდა ბუჩაშიც და ვორზელშიც. როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ამაზე საუბარი, საჭიროა მათ შორის რუსულ ენაზეც. დაე, რუსმა დედებმა გაიგონ, რა გააკეთეს ბუჩაში მათმა შვილებმა“, - განაცხადა ფედორუკმა.

* * *

მარიუპოლში უკრაინის შეიარაღებული ძალების შეთანხმებული წინააღმდეგობა რუსი სამხედროებისთვის სერიოზულ გამოწვევად იქცა და რუსეთის წინსვლა შეანელა, - ამის შესახებ ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით იუწყება. ინფორმაციას შკყ Nეწს-ი ავრცელებს. „უკრაინის შეთანხმებულმა წინააღმდეგობამ რუსეთის ჯარი მძიმე განსაცდელში ჩააგდო და რუსეთის წინსვლა შეანელა. რუსების მიერ მარიუპოლის აღების მცდელობამ ადგილობრივ მოსახლეობას დიდი ზიანი მიაყენა. განადგურდა დიდი ოდენობის ინფრასტრუქტურა და მოსახლეობამ მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა“, - ნათქვამია განცხადებაში. ბრიტანული დაზვერვის ცნობით, ოკუპანტების მიერ მარიუპოლის მახლობლად არსებული დასახლებების სამიზნეში ამოღება იმის მსგავსად ხდება, როგორც ამას რუსეთი 1999 წელს ჩეჩნეთში და 2016 წელს სირიაში აკეთებდა. „ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ 2022 წლის 24 თებერვალს განაცხადა, რომ რუსეთი არ დაარტყამს ქალაქებს და არ დაემუქრება უკრაინის მოსახლეობას“, - განაცხადეს ბრიტანეთის დაზვერვაში.

* * *

უკრაინელმა მეთაურებმა გაანადგურეს მასიური ხომალდი „მოსკოვი“ უპილოტო თვითმფრინავების გამოყენებით, მისი თავდაცვითი ძალების ყურადღების გადასატანად და ზედაპირული სარაკეტო დარტყმების განხორციელების მიზნით. MailOne-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ექსპერტები აღფრთოვანებული იყვნენ უკრაინის სარდლობის ბრწყინვალე ნაბიჯით. მოულოდნელი თავდასხმა ღამით მოხდა, როდესაც „მოსკოვი“ ოდესიდან სამხრეთით, 60 მილის დაშორებით იმყოფებოდა. გემის ეკიპაჟი თვალყურს ადევნებდა მატყუარებს - თურქულ TB2 თვითმფრინავებს, არ იცოდა, რომ უკრაინული წარმოების „Neptun R360“-ის წყვილი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა მათი მიმართულებით მიემართებოდა. ორი რაკეტა, რომელთაგან თითოეული ტონას იწონიდა, 611-ფუტიან „მოსკოვის“ მარცხენა ქიმის მხარეს დაეჯახა, ძლიერად შეარყია იგი, გამოიწვია კატასტროფული აფეთქება და მასიური ხანძარი. დასავლელმა ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ოპერაციამ აჩვენა უკრაინის უნარი და დაარტყა რუსებს იმ ადგილებში, სადაც მათი აზრით, ისინი ხელშეუხებელი იყვნენ. მათვე უარყვეს რუსეთის პრეტენზია, რომ მოსკოვის ბორტზე მხოლოდ ხანძარი იყო, რამაც გამოიწვია დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალის აფეთქება.

„გაზპრომბანკის“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და მისი ცოლ-შვილი ბინაში გარდაცვლილი იპოვეს

მოსკოვში 51 წლის ვლადისლავ ავაევი, მისი 47 წლის მეუღლე ელენა და 13 წლის ქალიშვილი მარია ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. აღნიშნულ ინფორმაციას ტელეგრამ-არხი Baza პოლიციის ინფორმაციაზე დაყრდნობით ავრცელებს. რუსული საგამოძიებო უწყების წინასწარი ვერსიით, ავაევმა თავდაპირველად ცოლსა და ქალიშვილს ესროლა, რის შემდეგაც თავი მოიკლა. პოლიცია ამ დასკვნამდე იქიდან გამომდინარე მივიდა, რომ ბანკის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს გარდაცვალების შემდეგ იარაღი ხელში ედო.

ავაევების ოჯახის წევრების ცხედრები ნათესავმა აღმოაჩინა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მათთან ტელეფონით დაკავშირებას ცდილობდა, მაგრამ არავინ პასუხობდა.

Kp.ru-ს ინფორმაციით, ადგილზე მისულ პოლიციას ბინაში არეულობა დახვდა - ნივთები მიმოფანტული იყო.

ამირან გურიელიძე